წელიწადი მეორე

ფასი 5000 მანეთი

# კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა ... № 14—70 ... № 19 საერ. №

№ 66 პარასკევი, 24 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 24 მარტი 1922 წ. № 66

# მოქალაქენო! თქვენი მოვალეობაა შესწიროთ საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ!

შაბათს, მარტის 25-ს, საღამოს 8 საათზე,

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში შესდგება სხდომა

## ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის

ყველა წევრისა და კანდიდატის გამოცხადება და დასწრება, სხდომის დიდ მნიშვნელოვანობისა და გადაუდებლობისა გამო, სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**

(1—1)

---

## საქართვ. კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს გამოცხადდენ საგიტაციო განყოფილებაში ლექტორების და პასუხისმგებელ პროპაგანდისტების ანკეტების შესავსებად შემდეგ ამხანაგებს: მამია ორახელაშვილს, ალექსანდრე ერქომაშვილს, მიშა ოკუჯავას, სერგო ქავთარაძეს, ისააკ ნოვიკოვს, ლიადოვსკაიას, გალაქტიონ ნუცუბიძეს, ისიდორე თალაკვაძეს, მალაქია ტოროშელიძეს, სანდრო თუმანოვს, მიხეილ ხრისტოლიუბოვს, გიორგი ყურულაშვილს, ერვანდ ასრიბეკოვს, თედორე კალანდაძეს და ბახუტოვს.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **ჯორბენაძე.**

(1—1)

---

ორშაბათს, 27 მარტს, საღამოს 6 საათზე

საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

## თათბირი რაიონული კომიტეტების და სამხედრო ორგანიზაციების

შეერთებულ მუშაობის საკითხზე. თათბირზე მოწვეულნი არიან ამხ. ამხ. ლისოვსკი, ნიკოლოზ ოკუჯავა, კევორქიანი, გოლცბაუმი და ფედმანი.

თბილ. კომიტეტის მდივნის მაგიერ **ჯორბენაძე.**

(3—1)

---

## საქართველოს ყველა პროფესიონალურ-საწარმოო კავშირების ცენტრალურ სამმართველოებს

შაბათს, 25 ამა მარტს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფკავშირების საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

## გაფართოებული სხდომა

საქართველოს პროფკავშირების საბჭოსი, კავშირების ცენტრალურ სამმართველოების, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების მონაწილეობით

**დღის წეს-რიგი:**

1. კავშირებში მეცადინეობის შესახებ.
2. ცეცხლის გაჩენაზე და მის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

სხდომის შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი.

**ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.**

---

## ისევ სიმშილის საკითხი

ჩვენ ისევ ვაგრძელებთ წერას სიმშილის შესახებ. თავზე დამტყდარი უბედურება და მისი მოსალოდნელი მძიმე შედეგები იმდენად დიდია, რომ გვმართებს მუდამ და ყოველ გზაჯვარედინზე მაზე ხმა მაღლა ღაღადისი, სანამ საბოლოოდ არ დავამარცხებთ სიკვდილის ამ შავ მოციქულს და ჩვენ უსასტიკეს მტერს. ეხლავე, სანამ გვიან არ არის, უნდა გამოვნახოთ ყველა გზები, საშუალებანი ამ მტერზე გამარჯვებისათვის. მუშურ-გლეხური სახელმწიფო, რომელიც პირველი იღებს თავზე მოვალეობას გადაარჩინოს მშრომელი მასსები სიმშილით სიკვდილს, ყოველ ზომას ხმარობს ამ ვალდებულების ღირსეულად შესასრულებლად. საბჭოთა მთავრობა მის განკარგულებაში არსებულ რესურსებიდან შესაძლებელ მაქსიმუმს იღებს დამშეულთა დასახმარებლად. ამასთან ერთად სპეციალურ გადასახადის თუ სხვა გზით ქმნის ფონდს ამავე მიზნისათვის, და საერთოდ უძღვება ამ საქმის ორგანიზაციას.

მეორე მხრივ ამოძრავებულია საზოგადოებრივი თაოსნობა. დამშეულთა მთავარი კომიტეტის ინიციატივით ამ ჟამად კიდეც წარმოებს შეწირულებათა შეგროვება. მაგრამ უნდა განვაცხადოთ აშკარათ, რომ ამ სახის დახმარებას ჯერჯერობით ცოტად მაინც მნიშვნელოვანი შედეგები არ გამოუღია.

რა თქმა უნდა, ისედაც ხელმოკლე მუშა-მოსამსახურენი უკანასკნელ ლუკმას არ იშურებენ თავიანთ მოძმეების სახსნელად. სამაგიეროდ სულ სხვა გვარია შეძლებულ კლასის დამოკიდებულება. მას მცირედაც არ შესტკივა გული მუშათა ტანჯვა-წამებაზე, ხოლო ჩვეულებრივად ათეულ მილიონებს ფლანგავს კაფე-რესტორანებში და განაგრძობს „ლხინს შავი ჭირის დროს“. სულ სხვა საქმეა, რომ თავაშვებულ ბურჟუაზიას, რომელიც გულის ფანცქალით მოელის სიმშილობასთან დაკავშირებულ გამწვავებულ მდგომარეობის თავის სასარგებლოდ განვითარებას, მუშათა კლასის ხელის უფლების დამხობას და საკუთარი ბატონობის აღდგენას,—პროლეტარიატის დიქტატორული ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს გონზე მოიყვანს და რკინის ხელით გაალებინებს ნაწილს მაინც იმ უამრავი მოგებისას, რომელსაც ის წურბელასავით სწოვს მშრომელთა ოფლით და მარჯვენით შექმნილ დოვლათიდან. მაგრამ ეს იძულებითი „დახმარება“ ყველაზე ნაკლებად ჩაეთვლება დამსახურებად ექსპლოატატორთა ხროვას.

ასეთივე ბოროტ გულგრილობას იჩენს გაუბედურებულ დამშეულებისადმი არქივს ჩაბარებული შავბნელი წყობილების მეორე მთავარი ბურჯი—ეკლესია და სამღვდელოება. ჩვენ ამჟამად გვინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ დახავსებულ ინსტიტუტს და დრომოჭმულ წოდებას. უძველეს დროიდანვე ეკლესია მონასტრებში მოგროვდა დიდძალი სიმდიდრე რომლის ნაწილი განძეულობათა სახით შერჩა მას დღევანდლამდე. ეს სიმდიდრე შეიქმნა არა სასულიერო წოდების გარჯით, არამედ შედეგად იმ შეწირულებათა, რომლებსაც სთავაზობდნენ მეფეები და თავადნი მშრომელი ხალხის ზურგიდან ამოქაჩული ქონებიდან. ცხადია ამ სიმდიდრის მემკვიდრე ეხლა შეიძლება იყოს მხოლოდ მშრომელი ხალხი, და არა სხვა ვინმე. დღეს კი ამ განძეულობას დაპატრონებია ხუცები და ბერები, რომელნიც ყიდიან მას და თავის პირადი საჭიროებისათვის იყენებენ, როგორც ეს არა ერთხელ გამოაშკარავებულა. (გაიხსენეთ გელათის ისტორია). დიდი ნაწილი ამ სიმდიდრისა გაიტაცეს მენშევიკებმა გაქცევის დროს, მაგრამ აქაც ბლომად არის დარჩენილი. მრავალია ისეთი საგნები, რომელნიც არ იხმარებიან სარწმუნოებრივი კულტის ასრულების დროს, ან ზედმეტი რაოდენობით მოიპოვებიან და სრულიად უსარგებლოდ აწყვია. ამ ზედმეტი ნივთების რეალიზაცია და გამოყენება მშრომელი ხალხის დაღუპვისაგან გადასარჩენად ეხლანდელი სტიქიური გაჭირვების დროს სწორედ რომ ფრიად საჭირო და მიზანშეწონილი ღონისძიება იქნებოდა. ამას მოითხოვს თვით ქრისტიანობაც, ვინც მოისურვებს ამ თვალსაზრისზე დადგომას.

რუსეთში საეკლესიო განძეულობის გამოყენების საქმე სიმშილთან საბრძოლველად დღისწესრიგშია დასმული და ნაწილობრივ კიდეც ტარდება ცხოვრებაში. იქ მშრომელ მასსებს თავიანთ კრებებზე გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიც მოითხოვენ საეკლესიო განძეულობის გამოყენებას მილიონ ხალხის სიმშილით სიკვდილისაგან დასახსნელად.

ვფიქრობთ, რომ ჩვენშიც თვით მშრომელი მასსები გამოიჩენენ ამ შემთხვევაში თაოსნობას, გამოსთქვამენ გარკვეულ აზრს და ცხადყოფენ თავიანთ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. სადაო არ არის, რომ ჩვენი მოქმედების უმაღლესი კანონია მშრომელი ხალხის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვა, და როცა ამ სიცოცხლეს საშინელი საფრთხე მოელის, არ უნდა დავიშუროთ არაფერი, სხვათა შორის, საეკლესიო განძეულობაც, რომელსაც დაპატრონებიან ყორნები ბერებ-ხუცების სახით.

ვიცით, რომ ამ ნიადაგზე ჩვენი მტრები, მათ შორის სამღვდელოებაც, რომელიც პირადად დაინტერესებულია ამ განძეულობის შენარჩუნებაში, ათასნაირ პროვოკაციას გაავრცელებენ და გველურ სისინს მორთავენ: შეხედეთ, კომუნისტები ხალხის სარწმუნოებრივ გრძნობას, მის წმიდათა წმინდას უდიერად ეპყრობიან და შეურაცხყოფენო.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ხალხი სისწორით შეაფასებს მოვლენას, არ წამოეგება საზიზღარ პროვოკაციის ანკესზე და კვლავ ისევ გარიყავს ამ შავ ძალებს, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა ამ ბოლო ხანებში.

ზ. ქ.

---

## მაღალი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის

ამ ჟამად მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილია საგაზაფხულო თესვის კამპანიაზე. ეს სავსებით გასაგებია. სასურსათო კრიზისი, სიმშილი, რომელიც დაგვატყდა თავს, ჩვენი უსაშინელესი მტერია, მტერი არა მარტო ფიზიკური, თუ შეიძლება ასე ითქვას: იგი მშრომელ ხალხს არა მარტო ფიზიკურ ამოწყვეტით ემუქრება, არამედ საფრთხეს უმზადებს მის პოლიტიკურ ბატონობასაც და უბოროტეს „სტიქიურ კონტრ-რევოლიუციონერის“ როლს თამაშობს. ამიტომ მთელი ენერგია უნდა ავამოძრაოთ, რათა თესვის კამპანია წარმატებით ჩატარდეს, რომ მომავალში მაინც ვიგრძნოთ ერთგვარი შვება, გვქონდეს არსებობის მთავარი საფუძველი—პური.

მაგრამ არის სხვა დარგებიც სამეურნეო წარმოებისა, რომლებიც აგრეთვე ითხოვს ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას.

ამ ბოლო წლებში, მსოფლიო ომის დაწყებიდან მოყოლებული, ერთ საგულისხმო და მასთან სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში. ესაა სასოფლო წარმოების მაღალი კულტურული სახეების თანდათანი შემცირება და დაქვეითება. აიღეთ ასეთი წარმოება რომელიც გნებავთ: თამბაქო, დაფნა, მეღვინეობა და სხ. ზოგი მათგანი (თამბაქო, დაფნა) დაღუპვის კარამდეა მისული, ზოგი (მეღვინეობა) საგრძნობლად შემცირდა.

მრავალი მიზეზებით შეიძლება აიხსნას აღნიშნული ფაქტი. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით გამოწვეული ეკონომიური ნგრევა, მასთან დაკავშირებული სურსათ-სანოვაგის კრიზისი და უცხოეთში მისი შეძენისა და აქ შემოზიდვის სიძნელე იძულებულს ხდიდენ მოსახლეობას მთავარი ყურადღება, მაღალი სამეურნეო კულტურის ხარჯზე, პურეულის და საერთოდ საკვებ საგნების დამზადებისათვის მიექცია. და ჩვენ ვხედავთ, რომ სათამბაქო, სადაფნე და სავენახე ადგილებზე პურეული ითესება.

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ ზოგიერთი ნაწარმოების გასაღებისათვის შექმნილ სიძნელეს. საქართველოს სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების,—როგორიცაა: ღვინო, დაფნა, მატყლი, თამბაქო და სხ. საუკეთესო ბაზარს და გამსაღებელს წარმოადგენდა რუსეთი, რომელსაც მენშევიკებმა მოსწყვიტეს ჩვენი ქვეყანა, მათ შორის ჩინური კედელი აღმართეს და შეუძლებელი გახადეს რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან საქონლის რამოდენიმედ ნორმალური გაცვლა - გამოცვლის წარმოება. ამ გარემოებამ, ეჭვი არ არის, ფრიად შეარყია ჩვენი მეურნეობა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოში, ისევ აღდგენილ იქნა ეს ხელოვნურად დარღვეული კავშირი, და ამ ჟამად ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან, ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ, წესრიგდება და თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება.

მენშევიკების მიერ ზოგიერთ სავალიუტო ხასიათის ნაწარმოებზე გამოცხადებულ მონოპოლიის უხეიროდ გატარებამაც დიდად დააზარალა როგორც სახელმწიფო, ისე მწარმოებლები და ამ უკანასკნელებს ხალისი დაუკარგა ძველებური ენერგიით და მიმართულებით თავიანთი სამეურნეო საქმიანობის გაგრძელებისათვის მომავალში.

ასეთ მძიმე, წინა დროის უკულმართობისა და მენშევიკებისაგან მემკვიდრეობით გადმოცემულ პირობებსა და ატმოსფერაში უხდებოდა და ეხლაც უხდება მუშაობა საბჭოთა ხელისუფლებას. მით უფრო გვმართებს მოვიკრიფოთ მთელი ძალღონე, რათა გადავლახოთ ყველა დაბრკოლებანი და შევქმნათ ხელსაყრელი პირობები მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აღორძინება განვითარებისათვის, რომ მან ქვეყნის ეკონომიურ სიძლიერის ფაქტორთა წყებაში დაიჭიროს ის მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც მას უთუოდ ეკუთვნის.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის წარმოების ამ დარგს, სავალიუტო საქონელი, რომელსაც უმთავრესად იძლევა ასეთი მეურნეობა, გვაღონიერებს ეკონომიურად და, მაშასადამე, ამაგრებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. დღეს საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ ბურჟუაზიული მსოფლიო გაფაციცებით ეძებს ბაზარს თავის დამზადებულ საქონლის გასასაღებლად და იძულებულია აღადგინოს ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობა. ბლოკადის რკალი უკვე გარღვეულია და ჩვენი ეკონომიური წარმომადგენელი უცხოეთში, ამხ. კ. მოდებაძეც ადასტურებს, რომ ევროპის ვაჭრები და ფირმები მზად არიან გააჩაღონ ჩვენთან სერიოზული კომერციული ურთიერთობა (იხილე მისი წერილი „ეკონომიური დელეგაციის მოქმედება კონსტანტინეპოლში“, გაზ. „კომუნისტი“ № 63). ოღონდ საჭიროა ჩვენ გვქონდეს სამაგიეროდ რამე, სავალიუტო საქონელი, რომელიც ევროპას ესაჭიროება. სხვათა შორის, ერთ ასეთ ძვირფას საქონელს წარმოადგენს აბრეშუმის პარკი. ეს დარგი წარმოებისა შესამჩნევად განვითარებულია ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ის საგრძნობ შემოსავალს აძლევს მწარმოებლებს, მას უცხოეთის ბაზარზედაც საკმაო სახელიც აქვს მოხვეჭილი და ჩინებულად საღდება.

შარშან დაუმუშავებელ პარკის მოსავალი საქართველოში უდრიდა დაახლოვებით 80 ათას ფუთს. ეს იმ დროს, როცა საბჭოთა გადატრიალებასთან დაკავშირებით ვერ მოესწრო საკმაო რაოდენობის და კარგი თვისების აბრეშუმის თესლის დარიგება. საერთოდ კი ნორმალურ პირობებში პარკის მოსავალი საქართველოში აღნიშნულზე გაცილებით მეტია.

აბრეშუმის პარკის ოპერაცია შარშან მინდობილი ჰქონდა სახალხო სასურსათო კომისარიატს, რომელმაც მოაგროვა მთელი მოსავლის 15 პროცენტამდე. ოპერაციის სისრულით ჩატარებას ხელი შეუშალა, მრავალ მიზეზთა გარდა, ფართლეულის კრიზისმა, რამაც გამოიწვია აბრეშუმის მოხმარება თვით მწარმოებელთა მიერ საშინაო საჭიროებისათვის. მაგრამ ისიც, რის დამზადება მოახერხა სახ. სას. კომისარიატმა, მსოფლიო ბაზრის ფასების მიხედვით, შეადგენდა რამოდენიმე ათეულ მილიარდ მანეთის ღირებულებას, დამზადებაზე კი დაიხარჯა მხოლოდ 4 ნახევარ მილიარდამდე. აბრეშუმის პარკის ოპერაციამ, უნდა ითქვას, დიდი შეღავათი მისცა ჩვენს სახელმწიფოს.

წელს საცაა უკვე დადგება აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონი. გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ცნობა აბრეშუმის თესლის დამზადების შესახებ. ნაწილი თესლისა უკვე მიღებულია გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით. მაგრამ მიღებული რაოდენობა სრულებით არ არი საკმარისი. აბრეშუმის თესლის საკმაო რაოდენობის დროზე შეძენის და დარიგების საკითხი საშური და უაღრესად მნიშვნელოვანია. სათანადო უწყებებმა უნდა მოიხმარონ ყოველი მათ განკარგულებაში არსებული საშუალება ამ საქმის სათანადოდ მოსაგვარებლად. ეხლავე უნდა იქნას გადადგმული საჭირო ნაბიჯები, რათა, ერთი მხრივ, მეაბრეშუმენი არ გახდენ მსხვერპლნი კერძო ჩარჩებისა, რომელნიც შეეცდებიან აწეულ ფასებში თესლის და ისიც უმეტესად უვარგის თესლის მიწოდებას, მეორე მხრივ, საქონლის თუ ფულის სპეციალური ფონდის შექმნისათვის აბრეშუმის პარკის შესაძენად.

ვიმეორებთ, აბრეშუმის პარკის ოპერაციის წარმატებით ჩატარება ჩვენი მორიგი დამკვრელი ამოცანაა, იგი დიდ როლს შეასრულებს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გამოსწორებასა და საგარეო ვაჭრობის გაჯანსაღებაში, მწარმოებელ მეაბრეშუმეებსაც საკმაო სიმდიდრეს შემატებს.

მაშ ავამუშაოთ მთელი ენერგია, საშუალება, ცოდნა და გამოცდილება ამ კამპანიის ღირსეულად ჩასატარებლად.

კან.

---

## სოფლისათვის

სოფლის ცხოვრების მოწყობას და მის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა სასოფლო ქვეყანაა.

სოფელი იმ თავითვე მზრუნველს და გულშემატკივარს მოკლებული, უპატრონოთ იყო მიგდებული, რამაც საშინლად იმოქმედა მისი ცხოვრების დაქვეითებასა და დაბეჩავებაზე. მას აკისრებდენ მოვალეობას, მაგრამ არ ანიჭებდნენ უფლებას და ის მაშინ მოაგონდებოდათ, როდესაც იქიდან რაიმე დასჭირდებოდათ.

დღეს ეს ძირიანად უნდა შეიცვალოს და სოფლად მომქმედმა საბჭოებმა მაქსიმუმი ენერგიისა უნდა გამოიჩინონ მისი ცხოვრების ასაღორძინებლად. ეს საბჭოები არ უნდა გადიქცნენ კანცელიარიულ ორგანოთ, არ უნდა მოსწყდნენ ხალხსა და მის ცხოვრებას, არ უნდა გაერთონ მხოლოდ ოფიციალურ ხასიათის მიწერ-მოწერაში და ხალხთან ახლო უნდა მივიდნენ, მისი ჭირი და ვარამი უნდა გაიგონ და ხალხის წყლულებს ხალხისავე საშუალებით, მალამო უნდა დაადვან. არც ერთი საქმე არ უნდა გააკეთონ ხალხის მონაწილეობის გარეშე, ყოველი საქმით უნდა დააინტერესონ ის.

სოფლად ბევრია გასაკეთებელი და სამუშაო, იქ ნორმალურ ცხოვრების დასამყარებლად მთელი ერთი თაობის თავდადებული მუშაობაა საჭირო, მაგრამ პირველ რიგში უნდა გაკეთდეს და უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს, გზების შეკეთებას, ახალის გაყვანას, ხიდების აგებას და სხვა.

დღეს უგზოობა დიდად აბრკოლებს სოფლად ეკონომიურ ცხოვრების განვითარებას. არის მთელი რიგი სოფლები, რომელიც უბრალო ავდრით გზის წახდენის გამო ბაზარს წყდება. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხე ამავე მიზეზით არამც თუ რამდენიმე დღით, არამედ თვეობით არიან კარჩაკეტილნი. ყოველი ამით სათანადოთ სარგებლობს ჩარჩ-სპეკულიანტები და ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება მეურნეობის განვითარება.

ამ მხრივ სასურველია სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა მისცეს ადგილებზე მომქმედ საბჭოებს სათანადო დირექტივები, ინსტრუქციები და მტკიცედაც მოსთხოვოს მისი შესრულება. ის საბჭოები, რომლებიც ამას ვერ შეასრულებენ, არ იქნებიან თავისი დანიშნულების სიმაღლეზე.

ასეთი მუშაობა და საქმიანობა გარდა იმისა, რომ შექმნის სოფლად ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისათვის სათანადო პირობებს, შეადუღებს და შეაკავშირებს სოფლელს საბჭოსთან და საბჭოს საშუალებით გლეხს მუშასთან, რაც უზრუნველყოფს რევოლიუციას ყოველგვარ საფრთხისა და დაბრკოლებისაგან.

აქილეხი.

---

## ქაღალდის ფლანგვის შესახებ

### პასუხად ამხ. ლ. დუმბაძეს

„მოუფრთხილდით ქაღალდს“ ამ სათაურით ჩემს მიერ 15 მარტს „კომუნისტ“-ში მოთავსებულ წერილის საპასუხოთ, ამხ. ლ. დუმბაძე ამბობს, რომ ის დაწერილია ტენდენციურად, ცალმხრივად, მოკლებულია ობიექტობას და რომ ავტორს აინტერესებს პირადი შურლიანობა. მოტივათ მას მოჰყავს, ის, რომ წერილში ლაპარაკია მარტო შრომის კომისარიატზე.

გავსინჯოთ რამდენად მართალია ყველა ეს. ამისათვის საკმარისია უპასუხოდ მთავარ მოტივზე. საერთოდ უნივერსალობა და ყველაფერის ცოდნა ჯერ-ჯერობით ვერავის მოუხერხებია. მეც არ შემეძლო ყველა კომისარიატების დაბეჭდილ ანგარიშებს გავცნობოდი და ჩვენი დაწესებულებების მიერ ქაღალდის ფლანგვის საქმე შემესწავლა. ეს მოითხოვს სპეციალურ მუშაობას და განსაკუთრებულ დროს. ამიტომ, მე, როგორც „შრომის კომისარიატთან ახლოს მოკალათებულმა“, გაცნობილმა მის მუშაობასთან და ფუნქციებთან, „მომხვდა თვალში ეს ანგარიში“ და ჩემთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და არც ბევრ დროს წამართმევდა მისი ერთი თვალის გადავლებით შეფასება და ნაკლის აღმოჩენა.

ჩემ წერილში ვამბობდი და ეხლაც კიდევ ვიმეორებ, რომ შრომის კომისარიატის მიერ გამოცემული ანგარიში არ შეიძლება ჩაითვალოს ჩატარებულ მუშაობის ანგარიშად, ვინაიდან ის არ იძლევა სურათს ნამდვილ მუშაობისას, რომელიც გამოიხა-

# მოქალაქენო! დღეს და ხვალ იწარმოებს შეწირულებათა შეგროვება საქართველოს...

# საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

## საქართველოს წითელი ლაშქარი

### ამხ. შ. ელიავას მოხსენება

ამხანაგებო, დღიდან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა საქართველოში, რევოლუციონერ მთავრობას ჰქონდა გადაწყვეტილი, უპირველეს ყოვლისა, მოეწყო წითელი ლაშქარი [illegible] რუსეთის წითელ ლაშქრის ორგანიზაცია. ამისათვის საჭირო იყო სრული ლიკვიდაცია მენშევიკურ არმიისა და გვარდიისა და ახალ—წითელ ლაშქრის შექმნა ახალ ნიადაგზე. [illegible] 17 მარტის [illegible] 25 ათასამდე მებრძოლთა შემადგენლობით. მაგრამ ჯარის შედგენის დაწყებისთანავე გამოირკვა ასეთ მნიშვნელოვან ჯარის შედგენა-შენახვის შეუძლებლობა. მთავარი მიზეზები ამისა იყო: სხვამარის ნივთიერ საშუალებათა უქონლობა, მაგალითად, ტანისამოსით, [illegible] სურსათ-სანოვაგით და, უმთავრესად, [illegible] წვევამდე მომზადებისა და სატანთვარჯიშო ორგანიზაციები. იანვრის შუამდე რეორგანიზაცია საბოლოვოდ იყო დამთავრებული. და ამავე დროს იყო მიღებული ზომები ჯარის ერთეულების შესავსებად 1900 წელში დაბადებულ სამხედრო ვალდებულებით, რომელთა გაწვევა [illegible] ზღვაოსანთა მასამზადებლად ბათომში მოწყობილია სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, სადაც კურსანტთა რაოდენობა ამ ჟამად აღწევს 90 კაცამდე.

ჯარების ერთეულების შედგენასთან ერთად დაწყებულ იქნა, მაზრის და გუბერნიის სამხედრო კომისარიატების სახით, სამობილიზაციო საალრიცხვო დაწესებულებების დაარსება ადგილობრივ.

დასახელებულ კომისარიატების შედგენის შემდეგ სულ მოკლე ხნის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ისეთი საშუალო ინსტანციები, როგორც გუბერნიის სამხედრო კომისარიატია, სრულიად ზედმეტი იყო. ამიტომ უკვე არსებული ქუთაისის გუბერნიის სამხედრო კომისარიატი დაიშალა, მაზრის სამხედრო კომისარიატები კი დაექვემდებარა სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბს.

თავდაპირველად მაზრის სამხედრო კომისარიატების მუშაობა-მოქმედება ვერ იყო ნაყოფიერი, ვინაიდან მათი თანამშრომლები არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი, არ არსებობდა განსაზღვრული ინსტრუქციები, ვერ იყო შეგუებული მათი ურთიერთობა სამოქალაქო დაწესებულებების ადგილობრივ ორგანოებთან; არ იყო მოწყობილი სწორი და განუწყვეტელი კავშირი პროვინციებთან. თუ ყოველივე ამას დაუმატებთ იმას, რომ მაზრის სამხედრო კომისარიატები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყვნენ კმაყოფის სხვა და სხვა სახის საგნებათ (განსაკუთრებით ფულის ნიშნებით) მომარაგების მხრივ, ცხადი იქნება თქვენთვის თუ რა აუტანელ პირობებში მიმდინარეობდა მათი მუშაობა, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, წ. წ. ზაფხულის დასასრულში მაზრის სამხედრო კომისარიატების მუშაობა ასე თუ ისე დაეწყო და დღეს ისინი თითქმის სავსებით თავიანთ კალაპოტში ჩადგნენ. [illegible] 1901—1902 წ. [illegible] 1900 წლისა [illegible] 84 ნაწ. [illegible] 63 ნაწ. [illegible] 288 კურსანტი [illegible] 233 [illegible] 36 სხვა [illegible] 23 [illegible] 74 [illegible] წლების მიმოხილვიდან სჩანს, თუ რაგვარ აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა, ჯარების ყოველგვარი დაკმაყოფილების მხრით ქართულ ჯარების შექმნის პირველ დღიდანვე და მათი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში დღევანდლამდე. განსაკუთრებით მძიმე იყო ფინანსიური მდგომარეობა, რომლის სათანადო დაუყონებლად წარმუდგენელია რაიმე გვარი ორგანიზაციის არსებობა. ხოლო არმიის ფულობრივი (ფულის ნიშნების) მოთხოვნილება გ. წ. დაკმაყოფილებულია ერთი მეოთხედი—ერთი მეექვსედში ამ ჟამად კი კმაყოფილდება ერთი მერვედში და ეს იმ პირობებში, როდესაც საქონლის ფასი სულ იზრდება და იზრდება ხოლო ფულის ღირებულება სულ ეცემა, მაშასადამე ის ფულის ულუფა, რაიც ეძლევა უწყებას ყოველ დღე, თან და თან ჰკარგავს თავის ღირებულებას.

მაგრამ მიუხედავად ეგ ზომ არახელსაყრელ პირობებისა, პირდაპირ გმირული ძალდატანების საშუალებით მოხერხდა რამდენიმეთ უზრუნველყოფა არმიისა საბინაო კმაყოფით და ცოტაოდნათ ნივთიერი კმაყოფით. ხოლო ჯარების სასურსათო და ნამეტნავად სასაკვებო კმაყოფის საქმე იმყოფება მეტად მძიმე მდგომარეობაში, იგივე უნდა ითქვას წითელ არმიელების და მეთაურთა შემადგენლობის ჯამაგირის დაკმაყოფილებაზედაც: არიან ისეთი ჯართა ერთეულები, რომლებსაც არ მიუღიათ 2—3 თვის ჯამაგირი. თავის თავად ცხადია, რომ ამგვარ პირობებში ნორმალურ ცხოვრების მოწყობა ჯართა ერთეულებში ყოვლად შეუძლებელია, ამის შემდეგ კი არის დეზერტირობა, ნამეტნავათ ახლად გაწვეულ 1900 წლის კონტიგენტის წითელ არმიელთა შორის.

(დასასრული იქნება).

---

ტება შრომის ბაზრის მოწესრიგებაში (უმუშევართა აღრიცხვა-განაწილება), საკონფლიქტო საქმეებში, მუშათა დაზღვევაში, შრომის ბეგარის და შრომის გადასახადის ჩატარებაში და არა შემოსულ-გასულ ქაღალდების სტატისტიკაში, კომისარიატის თანამშრომლების წლოვანებასა და ეროვნებაში და ანგარიშში დაბეჭდილ ზედმეტ მსჯელობაში, როგორც მაგალითად: „ეს ნაწილიც ერთი იმ ნაწილთაგანია, (იურიდიული), რომელიც თითქმის თავიდანვე მუშაობს საქმეთა მმართველობასთან გაერთიანებული და, მე ვფიქრობ ყველაზე სერიოზიული და შემოქმედებითი ნიჭით აღჭურვილი ნაწილი იგი უნდა იყოს, ვინაიდან აქ უნდა იყრიდეს თავს კომისარიატის შემოქმედებითი მუშაობა, იგი უნდა იყოს ლაბარატორია, **სადაც ყოველმხრივად ირკვევა, მუშავდება, იქლიბება, აიწონ-დაიწონება (კურსივი ჩემია)** და შემდეგ ქვეყნდება მუშათა კანონმდებლობითი აქტი“.

რა საჭიროა ეს? არის მაჩვენებელი მუშაობისა თუ არა? სრულებით არა. ასეთი ადგილებით კი არის სავსე ხსენებული წიგნაკი. ყველა ეს ზედმეტი და საქმესთან არავითარი დამოკიდებული ტაბლიცები და მსჯელობა, სრულიად ჩრდილავს შრომის კომისარიატის მიერ ჩატარებულ ფუნქციონალურ მუშაობას, რომელიც აქვე უნდა ითქვას, ფრიად ნაყოფიერი იყო, რასაც ამტკიცებს რუსეთის შრომის კომისარიატის ამ მუშაობის დაფასებითი წერილი. (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 19 თებერ. № 40, 4 გვერდი).

დაბეჭდილ ანგარიშში გამოდის კი, რომ გასული და შემოსული ქაღალდების, თანამშრომლების წლოვანების და ეროვნების სტატისტიკა და კანცელარია არის შრომის კომისარიატის ფუნქციონალური მუშაობა. ეს ფრიად ახალი ამბავია. ამით შეიძლება ყველა კომისარიატები, რომელთაც აქვთ სხვა და სხვა ფუნქციეში, შეეაერთოდ და შეექმნათ ერთი დიდი კანცელარია, სადაც შემოსულ-გასულ ქაღალდების სიმრავლე იქნება ინტენსიური მუშაობის მაჩვენებელი. ასეთი გამარტივება ძალიან შეამოკლებს სახელმწიფო ხარჯებს.

ეს იყო სწორეთ მთავარი აზრი ჩემი წერილისა, სადაც ნათქვამია, რომ კომისარიატის ნამდვილი (ფუნქციონალური) მუშაობის გამოხატვა შეიძლება 15-20 გვერდზე და არა 120-ზე. ამას არც ამხ. დუმბაძე უარყოფს. ის ამბობს „შეიძლება მას (მოხსენებას) ბევრი დეფექტები ჰქონდეს, შეიძლება რამოდენიმე გვერდი ცხრილებით მართლა ზედმეტი იყოს“ და სხვ. სწორედ ამ ზედმეტთან მქონდა საქმე. ვინაიდან ის იჭირავს მთელ წიგნაკს, რამოდენიმე ფურცლების გამონაკლისით.

ნუ-თუ ამ ნაკლის ჩვენება, რომელსაც თვით ამხ. დუმბაძე არ უარყოფს, უნდა მოინათლოს „პირადი შეულლიანობით და ინტერესებით ვისმეს წინაალმდეგ“? თუ ეს ასეა, მოსკოვის გაზეთებს—კინკლაობის ფურცლები უნდა ეწოდოს დ ჩვენი გაზეთები გადიქცეს „დეპეშების ფურცლებად“, ვინაიდან პრესსის უმთავრესი დანიშნულება არა მარტო ინფორმაცია და ტკბილი სიტყვა არის, არამედ კრიტიკა, სახელმწიფო აპარატის მუშაობის ნაკლების აღნიშვნა და ამით მისი გაჯანსაღება.

რასაკვირველია, ასეთი კრიტიკის და კამათის დროს მხედველობაში არის მიღებული ცალკე პიროვნებები, რამდენადაც ისინი მეთაურობენ ამა თუ იმ ორგანოს, ან ფაქტიურად ხელმძღვანელობენ მის მუშაობას და პასუხისმგებელნი არიან მის დეფექტებში. მაგრამ ეს ხომ პირადი ინტერესობა არ იქნება.

კერძოდ შრომის კომისარიატის ნაკლის ჩვენება არ შეიძლებოდა განყენებულად. ეს ნაკლი გამოწვეულია იქ ფაქტიურად მუშაობის ხელმძღვანელებისაგან, რაშიდაც სრულებით დამნაშავე არ არის ლ. დუმბაძე, რადგან ცოტა დროს აქვს კომისარიატში მუშაობისათვის.

გარწმუნებთ, ამხ. დუმბაძე, რომ ამ შემთხვევაში არავითარი პირადი ინტერესებით არ ვხელმძღვანელობდი. ჩემი წერილის მიზანი იყო ნაკლის ჩვენება და ამით მისი გამეორების თავიდან აცილება, როგორც შრომის ისე სხვა კომისარიატების მიერ ამაში თქვენც დარწმუნდებით, როცა ამ საქმეს დაწვრილებით გასინჯავთ და გაეცნობით. მანამ კი, ჩემ „პირად შეულლიანობაზე“ ლაპარაკი დაჩქარებულად და გაუგებრობაზე აგებულად უნდა ჩაითვალოს.

ნ. დ.

---

# მუშათა მთლიანი ფრონტი

**მოსკოვი**, 1 მარტი რადიო. 26 თებერვალს კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის სხდომაზე სწარმოებდა კამათი გაერთიანებულ ფრონტის შესახებ. ამ საკითხის შესახებ ამხ. რადეკმა სთქვა: „საფრანგეთის ამხანაგების სიტყვებიდან სჩანს, რომ საფრანგეთის პარტია მხოლოდ ამას წინად ჩამოცილდა ლონგეს და რომ ამიტომ მართლაც ძნელია მისთვის ახალ ტაქტიკაზე გადასვლა. მესამე კონგრესის ტეზისები უკვე შეიცავს გაერთიანებული ფრონტის იდეას და აგრეთვე ცნობილი ღია წერილი გერმანიის პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა აღასტურებს, რომ ჩვენ უკვე მესამე კონგრესამდეც ვიცავდით გაერთიანებულ ფრონტს. ახალი ეტაპის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ მასები გამოდიან ბრძოლის საწარმოებლად არა ლოზუნგით „დემოკრატია თუ დიქტატურა“, არამედ მუშათა კლასის ელემენტარულ და აუცილებელ ინტერესებისათვის. ამასთან ჩვენ გვანსხვავებენ სხვა პარტიებიდან, რომ მათ არ სურთ (დამახინჯებულია)... ბრძოლა თავდაცვის პოზიციებზედაც კი. სოციალ პატრიოტებისაგან გათიშვის შემდეგ ჩვენი უახლოესი ნაბიჯი უნდა იყოს გადადგმული მასებთან გაერთიანებისაკენ, რომლებიც ჯერ კიდევ გვიჰერენ ჩვენ მხარს. პრაქტიკული განხორციელება ამ გაერთიანებისა მოხდება ყოველ მხარეში მის პირობებთან შეფარდებით. საფრანგეთის ამხანაგები, რომლებიც თითქო უფრო მეტად არიან დაინტერესებული კონფერენციით, როგორც გავს ეკიდებიან მათ უარყოფითად. მაგრამ ვინ უფრო საშიშია—ლონგე თუ პუანკარე? ჩვენ წინ არის ვერსალის ახალი კონფერენცია. მან უნდა გადასჭრას ორი კარდინალური საკითხი: საბჭოთა რუსეთის და გერმანიის პროლეტარიატის შესახებ. ცხადია, რომ კომინტერნმა უნდა გააერთიანოს საერთაშორისო პროლეტარიატის ძალები კონტრ-დემონსტრაციებისათვის მთელი ქვეყნის წინაშე. თუ ჩაიშალა კონფერენცია ჩვენ ცხადათ დავანახვებთ ყველას, რომ ამაში ბრალი ედება შეიდემანელებს. უკეთესია ეს, ვიდრე სთქვას მუშებმა, რომ კონფერენცია ჩავშალეთ ჩვენ. ჩვენ გველაპარაკებიან, რომ ამ კონფერენციაზე შეუძლიანთ მოვიდნენ მენშევიკებს და ესერებს და შეუძლიანთ წარმოადგინონ ჩვენი სახელის გამტეხი დოკუმენტები, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია წარუდგინოთ ამისთვის საჭირო დოკუმენტები. ჩვენ შეგვიძლია წარვადგინოთ ანგარიში როზა ლიუქსემბურგის და ლიბკნეხტის თავებზე და ათი ათასობით დახოცილ სპარტაკელებზე. ადლერთან ლაპარაკის დროს მე მას მიუთითე ამაზე (დამახინჯებულია)... და მთხოვა არ დამეყენებია კონფერენციის დღის წეს-რიგში ზოგიერთი საკითხები, რომ ამით არ მოხდეს საერთაშორისო უსიამოვნება“.

ამხ. რადეკის შემდეგ გამოვიდა ამხ. მაკმანოესი (გამოშვებულია)... არ ეშინია კონტაქტის დაჭერის ოპორტიუნისტულ პარტიების ბელადებთანაც. აი, ჩვენ ეხლა მზად ვართ შევიდეთ მუშათა პარტიების რიგებში. ტრედიუნიონისტების მომავალ კონგრესზე ჩვენი სიტუაცია ძალიან ხელსაყრელი იქნება და სახელდობრ გაერთიანებული ფრონტის ტაქტიკის ნიადაგზე. გაერთიანებული ფრონტი მიგვიყვანს კიდევ შემდეგ დადებითი შედეგამდი. ის აიძულებს მუშათა პარტიებს [illegible] ბრძოლაში თავიანთ დამოუკიდებლობას, ბრძოლაში, რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ფაქტია ინგლისის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამხ. ტალგეიმერი ამბობს, რომ მდგომარეობა გერმანიაში უფრო რევოლიუციონურია ვიდრე საფრანგეთში და იტალიაში. მიუხედავად ამისა გერმანიაში ჩვენ უმრავლესობა ჯერ არ გვყოლია. რა თქმა უნდა მდგომარეობა რთულია. ჩვენ, გერმანელები მთელი წელიწადი ვყოყმანობდით, ჩვენგან წავიდნენ ანარქისტული და ოპორტიუნისტული ელემენტები, მაგრამ ჩვენ ამ ჟამად მივედით დასკვნამდი: გაერთიანებული ფრონტის ტაქტიკა. ამხ. ტროცკიმ განაცხადა ყველა (დამახინჯებულია)..., რომ ყველაზე უფრო სუსტები—ყველაზე უფრო ძლიერები არიან. ორივე უკიდურესი პოლიუსები როგორც გავს ნაკლებათ დაინტერესებულნი არიან გაერთიანებული ფრონტის ტაქტიკით. ამავე დროს მუშათა მასების ბრძოლა საარსებო პურისათვის არ ითმენს გადადებას, სანამ ჩვენ მივიმხრობდეთ პროლეტარიატის დიდ უმრავლესობას ჩვენ მხარეზე. უპარტიოებს არ ესმით ჩვენი მითითება ხვალინდელ დღეზე. მათთვის არსებობს მხოლოდ დღევანდელი დღე. ჩვენ არ გვინდა მოვეჩვენოთ მათ და საზოგადოთ მასებს სექტანტებათ, რაც მოხდება მაშინ თუ ჩვენ უარს ვიტყვით დავიცვათ მათი მწვავე ყოველდღიური გადაუდებელი მოთხოვნილებები. სავსებით გასაგებია, რომ საფრანგეთის უპარტიო ინტელიგენციისა და ჟურნალისტებისათვის, რომლებიც დიდი ხანი არაა მას აქეთ რაც მძაფრ იერიშებს აწარმოებდნენ ჟან ლონგეს წინააღმდეგ, ეხლა ძალიან ძნელია მოუსხდნენ ერთ მაგიდას მის გვერდით მოლაპარაკების დასაწყებად. მაგრამ მასა არ ფიქრობს ასეთ წვრილმანებზე. ჩვენ თითონ უნდა ავიღოთ ინიციატივა მისი ბრძოლისა საარსებო პურისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მასა არ გამოგვყვება ჩვენ“.

---

# წითელ რესპუბლიკებში

## აზერბეიჯანში.

### ძარცვა რკინის გზაზე.

**ბაქო.** 15 მარტი. ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამხედრო სარევოლიუციო ტრანსპორტის ტრიბუნალმა 10, 11 და 12 მარტს განიხილა საქმე სადგურ ბაქო 1 და ბაქო 2 ვაგონებიდან საქონლის სისტემატიურად გატაცების შესახებ. სასამართლოში გადაიშალა გატაცების ისეთი სურათი, როდესაც ხანდახან ეს გატაცება ხდებოდა ბარგიან ვაგონებზე შეიარაღებულ თავდასხმითაც. ძარცვას საშინელი ხასიათი ჰქონდა არა მარტო გატაცებულის რაოდენობის მიხედვით, არამედ რკინის გზაზე ნორმალური მუშაობის შეჩერების შიშითაც. უკანასკნელ 2 3 თვის განმავლობაში სადგურ ბაქო 1 და 2. გატაცებულია სხვა და სხვა საქონელი დაახლოვებით 6 მილიარდ მანეთისა. გატაცებულ ბარგის შორის იყო ისეთებიც, რომლებიც დანიშნული იყო დამშეულ გუბერნიებში გასაგზავნათ. ამას გარდა გატაცების დროს დააზარალეს ვაგონების დიდი რაოდენობა.

სასამართლოს გადაეცა 13 მცარცველი. ორ ბრალდებულს სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა, ორს ხუთი წლის ციხე, დანარჩენებს იძულებითი სამუშევარი და პირობით ციხე.

### ნავთის სამრეწველოებში.

**ბაქო.** 15 მარტი. 12 მარტს საღამოს 4 საათზე ბალახანის რაიონის მეხუთე სამრეწველოში საცხოვრებელ სახლის საკვამურიდან ამოვარდნილ ნაპერწკალით, ცეცხლი გაუჩნდა ნავოს ღარში, რომელიც მოდიოდა ორმოდან. ცეცხლი მალე გავრცელდა ჯერ ერთსა და შემდეგ მეორე ორმოზე. ისინი ორივე დაიწვა, ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

### ნავთის ამოღება.

**ბაქო.** 15 მარტი. აზნევთის წინასწარ ცნობებით, თებერვალში ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოუღიათ 14,423,000 ფუთით ნაკლები, რადგანაც დღეების რიცხვი თებერვალში იყო 3 ნაკლები, ვინემ იანვარში, თუ ვიანგარიშებთ იანვრის 28 დღეში 13,924 ფ. ამოღებას, თებერვლის ამოღება იანვართან შედარებით უნდა ჩაითვალოს 497,000 ფუთით ანუ 3,6 პროც. მეტი. საშუალო დღიური ამოღება გაიზარდა შადრევანის ნავთით 10,000 ფ., ხელით ამოღებულ ნავთით კი 14,000 ფ. და შემცირდა კომპრესორულ ნავთით. ნავთის ხელით ამოღების გადიდება აიხსნება ამომღებელ მუშათა გამრავლებით, რომლებიც პირველ მარტს იყვნენ 287 კაცით მეტი ვინემ 1 თებერვალს. ყოველ დღიურად საექსპლოატაციო ორმოების საშუალო რიცხვი უდრიდა თებერვალში 1,155, ე. ი. 42 მეტით, ვინემ იანვარში.

### ნაოსნობის გახსნა.

**ბაქო.** 15 მარტი. ასტრახანიდან რეიდის ექსპლოატაციის გამგე გადმოგვცემს, რომ ნაოსნობის გახსნა განზრახულია 20 მარტისათვის. აღნიშნულ დროისათვის კასპიის ზღვის წყლის ტრანსპორტს განზრახული აქვს გამოუშვას შეკეთებიდან 32 გემი 3,657,000 ფუთის ტონაჟით.

პირველ მაისისათვის ტონაჟი გადიდებულ იქნება 4 მილიონ ფუთამდე. სანაოსნო 1922 წ. კასპის ზღვის ყველა ნავთსადგურებიდან, განზრახული გეგმით გატანილ უნდა იქნეს 190,590,000 ფუთი ნავთის ნაწარმოები. ბაქოდან გატანას უწევს 164,750,000 ფ. ამ რიცხვით უკვე გაზიდულია პირველ თებერვლამდე 26,700,000 ფ. კასპის ზღვის საზღვაო ტრანსპორტის სახელოსნოებში გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს. სახელოსნოების ნაწილი მუშაობს სამუშაო საათების გარეშე და უქმე დღეებშიაც კი.

---

# გენუას კონფერენციის შესახებ

### ამერიკის მონაწილეობა გენუაში.

**ნაუენი.** 21 მარტი. რადიო. კანცლერმა ვირტმა იტალიის დეპუტატთან საუბრის დროს მწუხარება გამოსთქვა, ამერიკის მიერ გენუის კონფერენციაში მონაწილეობაზე უარისთქმისა გამო. ვირტის კატეგორიული მტკიცებით, ამერიკის მონაწილეობის მიუღებლად ევროპის აღდგენა საეჭვოა.

### იტალიის პროგრამა.

**ნაუენი,** 21 მარტი. რადიო. საგარეო საქმეთა მინისტრმა შანცერმა იტალიის პარლამენტში გამოაქვეყნა იტალიის მთავრობის პროგრამა, რომელიც იტალიის დელეგაციამ უნდა გაატაროს გენუის კონფერენციაზე. პროგრამაში გათვალისწინებულია საერთო ზავისათვის გარანტიების შექმნის საჭიროებანი, საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრის და ნამდვილ განიარაღების საჩქაროდ განხორციელების გზით. იტალიის დელეგაცია მოითხოვს ნორმალურ დამოკი-

# დამშეულთა სასარგებლოთ. მიეშველეთ ხელუხვათ ამ საქვეყნო საქმეს.

დებულებას აღმოსავლეთ და საშუალო ევროპის ყველა ქვეყნებთან.

შანცერმა პროგრამის გამოქვეყნების დროს, აღნიშნა, რომ წინააღმდეგ გავრცელებულ აზრის, ვითომ ამერიკის მიერ გენუის კონფერენციაზე მონაწილეობაზე უარის-თქმა კონფერენციის მთელ მნიშვნელობას მიიყვანს არარაობამდე, ის ფიქრობს, რომ კონფერენციას მაინც ექნება უდიდესი მნიშვნელობა. გენუაში პირველად დაუპირდაპირდებიან ერთიმეორეს თანასწორი უფლებებით, გამარჯვებულები და დამარცხებულები. შანცერი მოითხოვს, რომ გენუის კონფერენციამ არ მოკიდოს ხელი „საერთაშორისო ზავის აღდგენის" უტოპიურ ამოცანებს, არამედ იმუშაოს უშუალო ნამდვილ მიზნების გადასაჭრელად, სახელდობრ მან უნდა განიხილოს ევროპის წონასწორობის აღდგენის და ევროპის ურთიერთ ეკონომიურად დამოკიდებულების საკითხები.

**ნეიტრალურ სახელმწიფოთა პოზიცია.**

**ბერლინი, 21 მარტი.** რადიო. შვეციის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სტოკჰოლმში სრულ შეთანხმებას მიაღწიეს ყველა ძირითად მუხლებში გენუის კონფერენციაზე თავიანთ ინტერესების კოლექტიურად დაცვის შესახებ.

**დამარცხებულთა შევიწროება.**

**ბორდო, 21 მარტი.** რადიო. ყოფილ მინისტრმა იავამ მრავალ-რიცხოვან კრებაზე მადრიდში, განაცხადა, ევროპის დამარცხებულთა შევიწროების პოლიტიკა მიიყვანს მათ მხოლოდ ევროპის ეკონომიურ პოლიტიკის შემდეგ ნგრევამდე. ამ პოლიტიკას უნდა მოეღოს ბოლო, თუ მთავრობების ნებაყოფლობით არა, ხალხის გაბოროტებულ ნების-ყოფის საშუალებით. ეს სიტყვები დაფარა ტაშმა. ბოლოს ორატორი იცავდა ისპანიასა და იტალიის შორის მჭიდრო კავშირის შექმნის საჭიროებას.

**ამერიკა და ევროპა.**

**ნაუენი. 21 მარტი,** (რადიო). ამერიკელმა ბანკირმა სიმონსმა გაზეთ „ნიუიორკ ჰერალდის" რედაქტორთან საუბრის დროს პარიზში ამერიკის პოზიციისა და ევროპასთან დამოკიდებულების შესახებ თქვა: ამერიკის კონგრესი და ამერიკის საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთის პოლიტიკას თვლის საფრანგეთში გამეფებულ მილიტარიზმის ნიშნებად. ამერიკელების აზრით, მნიშვნელოვან ლაშქრის შენახვა, სრულიადაც არ წარმოადგენს ომის გამაფრთხილებელ საშუალებას, პირიქით იწვევს მას და ხელს უწყობს მის ჩქარა დაწყებას.

**საფრანგეთის მისწრაფებანი.**

**პარიზი. 21 მარტი,** (რადიო). ზოგიერთი ფრანგული გაზეთები უკეთებენ რა კომენტარიებს სამხედრო მინისტრის მაჟეპოს სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა დეპუტატთა პალატაში, აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მისწრაფება, რომ დაამყაროს რესპუბლიკის სამხედრო ბატონობა, მიიყვანს მას დაბრმავებამდი. ბრძოლის ყიჟინა ივიწყებს სინამდვილეს. თავიანთ მისწრაფებით სამხედრო ჰეგემონიისადმი საფრანგეთის ნაციონალისტები მივლენ მხოლოდ იქამდის, რომ საფრანგეთი გადაიქცევა მთელი ქვეყნის თავდასხმის ობიექტად და ამავე დროს ამით ვერაფერს ვერ მიაღწევს.

**საფრანგეთის დელეგაცია.**

**ბორდო. 21 მარტი,** (რადიო). „პტი ჟურნალის" ცნობით საფრანგეთის დელეგაციის მეთაურად თუ პუანკარეს არ ექნა დრო, იმ შემთხვევაში მას იკისრებს ბართუ.

**ექსპერტების თათბირი.**

**ბორდო. 21 მარტი,** (რადიო). ორშაბათს ლონდონში გაიხსნა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და ბელგიის ექსპერტების თათბირი. თათბირის მიზანს შეადგენს საერთო პროგრამის გამომუშავება იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დგანან გენუის კონფერენციის დღიურ წეს-რიგში, სახელდობრ, რუსეთის რეორგანიზაციის შესახებ და ტექნიკურ, ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხების შესახებ.

**ინგლისის პროგრამა.**

**ნაუენი. 22 მარტი.** (რადიო) გერმანიის პრესის ცნობით, ლოიდ-ჯორჯს განზრახული აქვს მახლობელ დღეებში გამოაქვეყნოს თემთა პალატაში ინგლისის მთავრობის პროგრამა, რომელიც ინგლისის დელეგაციამ უნდა გაატაროს გენუის კონფერენციაზე. ლოიდ-ჯორჯი მოითხოვს არა მარტო პროგრამის დამტკიცებას, არამედ იმასაც, რომ თემთა პალატამ კენჭი უყაროს ლოიდ ჯორჯისადმი ნდობის საკითხს, რათა ამით დაუმტკიცონ მთელ ქვეყანას, რომ ლოიდ ჯორჯი რჩება მთავრობაში, განაგრძობს თავის მოვალეობის ასრულებას და სარგებლობს მთავრობის და პარლამენტის ნდობით.

**ყველაზე ადრე საჭიროა.**

**ბორდო. 22 მარტი.** (რადიო). ბენეშის აზრით ევროპის აღსადგენად ყველაზე ადრე საჭიროა: 1) მიეცეს რუსეთს საშუალება დასავლეთ ბაზარზე გასვლისა და 2) მიეცეს გერმანიას საერთაშორისო სესხი.

**ინგლის-საფრანგეთის დაახლოება.**

**ბორდო. 22 მარტი.** (რადიო). ბრიტანიის დელეგაციის მეთაურის სიდნეი ჩეპმენის თავჯდომარეობით ორშაბათს ლონდონში შედგა ექსპერტთა თათბირის პირველი სხდომა. საფრანგეთის წარმომადგენლად არიან სეიდი, ავენალი და ფრომაჟო. პირველ სხდომაზე ექსპერტები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ აზრთა გაცვლა გამოცვლით. ლონდონის გაზეთების მტკიცებით, თათბირი ყველაზე უწინ შეუდგება რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლების საკითხის განხილვას.

**ამიერ-კავკასია და ანტანტა.**

**მოსკოვი, 12 მარტი.** ახასიათებს რა „იზვესტია" ანტანტის რუსეთისადმი დამოკიდებულებას იძლევა კითხვას: რას ეძებს საფრანგეთი კავკასიაში? ჯერ ერთი ამ უმდიდრეს ქვეყნის ეკონომიურად დაპყრობას, და შემდეგ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურად დამორჩილებას, იგი, საფრანგეთი ცხად მეტოქეობას უწევს ამ მხრივ ინგლისს, და ამ შემთხვევაში არ დაერიდება მასთან კონფლიქტსაც. აი რისთვის ცდილობს საფრანგეთი, ამბობს ხაზგასმით „იზვესტია", გამოჭედოს ჩვენ წინ ამიერკავკასიაში ფოლადის რკალი, აი რატომ უჭერს ის მხარს ყველა ლტოლვილ ქართველებს, დაშნაკებს და მუსავატებს, რომლებიც აცხადებენ თავიანთ პრეტენზიებს ხელისუფლებაზე, აბამს საიდუმლო კავშირს ანგორასთან, რითაც ამწვავებს ოსმალეთის ნაციონალისტთა ნაწილის პანისლამისტურ განზრახვებს დაავრცელებს თავის ინტრიგებს თურქესტანით თვით ავღანისტანამდე. ის გულუბრყვილო პანთურქისტები, რომლებიც უვარდებიან ხელში ანგარების მოყვარე საფრანგეთის აგენტებს, ამ გეგმების დროებითი გამარჯვების დროსაც კი ისინი ბოლოს და ბოლოს დარჩებიან სულელად, როდესაც დაინახავენ, რომ უწყინარ მეზობლის მაგივრად, საბჭოთა რუსეთის სახით, ისინი თითონ დაისვამენ საკუთარ თავზე ისეთ მტაცებლებს, როგორიც არიან საფრანგეთის საზიზღარი იმპერიალისტები.

მაგრამ საფრანგეთი რომ დაეპატრონოს კავკასიას მას უნდა დაეხმარონ არა მარტო ადგილობრივ ხალხთა ნაციონალური ელემენტები, და ადგილობრივი ხელისუფლების მაძიებელი კონტრ-რევოლიუციონერები, არამედ რუსი თეთრგვარდიელებიც. უკანასკნელებმა გზა უნდა გაუხსნან საფრანგეთს არა მარტო კავკასიაში, არამედ სამხრეთ-რუსეთშიც, განსაკუთრებით დონის ბასეინსა და უკრაინაში. აი რატომ დაეხმარება ამ ქამად საფრანგეთი ვრანგელელებს, სხვა და სხვა შავრაზმელებს და პეტლიურელებს. საფრანგეთი ჰფიქრობს, რომ მას უკვე აქვს მესაკუთრეს უფლებები სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში ძველ რევოლიუციონურ დროის ტიტულების ძალით. საფრანგეთი მზად არის დაიცვას არა მარტო საფრანგეთის, არამედ რუსეთის საკუთრებაც — რუს მემამულეებისა და ბურჟუაზიის, თუ ეს ასე არაა, რატომ განაგრძობს საფრანგეთი მილიონების ხარჯვას, ვრანგელის, შკუროს, ბალახოვიჩის ლაშქრის დანანარჩენის, ჩრდილო-დასავლეთ ლაშქრისა ესტონიაში და განსაკუთრებით ლატვიაში სავინკოვის რაზმების, პეტლიურას, ტიუტიუნიკის და სხვათა ლაშქრების დასახმარებლად. ნუ თუ არაფერი იცის საფრანგეთის გენერალურმა შტაბმა ვრანგელის ლაშქრის წინ წაწევის გეგმისა და კერძოთ კუტეპოვის კორპუსის შესახებ?

მეთაური შემდეგ ეხება „დეილი ჰერალდის" ცნობას იმის შესახებ, საფრანგეთის და ინგლისის. ექსპერტების შორის მიღწეულია შეთანხმება რუსეთის აღდგენის გეგმის შესახებ. „იზვესტია" სწერს: თუ ეს ასეა, ეს გვიჩვენებს მხოლოდ იმას, რომ ინგლისს ისეთივე განზრახვები აქვს რუსეთის მიმართ, როგორიც საფრანგეთს, მაგრამ ნუ თუ ინგლისი დაკმაყოფილდება ისეთი განაპირა ადგილით, როგორიც არის, ვთქვათ რუსეთის ჩრდილოეთი ნაწილი. საიდგანაც მას შეუძლია გაზიდოს ტყე და ასე უხვუხრად დაუთმობს საფრანგეთს სამხრეთ რუსეთს, ამიერ-კავკასიას და კავკასიას, და ამასთანავე საფრანგეთის სამუსულმანო ქვეყნებში პოლიტიკურ გავლენის გაძლიერების პერსპექტივებს, წინა და შუა აზიაში? ეს ცოტა საეჭვოა. მაგრამ იქ როგორც უნდა იყოს, ჩვენ შეგვიძლიან უთხრათ ჩვენ კეთილ მრჩეველებს, რომ კარგად ვიცნობთ მათ, ჩვენ კარგად გვესმის მათი ბოროტი მტაცებლური მიზნები რომლებიც იფარებიან რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების თანდათანობით აღდგენის შესახებ კეთილ შობილურ ლაპარაკის ქვეშ. დეე ისინი ნუ ატყუებენ თავიანთ თავს. საბჭოთა რესპუბლიკა არ დაუშვებს არავითარ კაპიტულიაციას არც ცხადი და არც ფარული ფორმით. იგი არ მიიღებს აღდგენის არავითარ გეგმას, რომელსაც შეუძლია მოუტანოს სარგებლობა მარტო უცხოეთის მტაცებლებს და მისცემს მათ ბაზარს საბჭოთა რუსეთზე ეკონომიურ და პოლიტიკურ შეტევისათვის. თამაში არ უნდა წარმოებდეს დანიშნულ ქაღალდით. ან პატიოსანი შეთანხმება ორივესათვის მოგებით, ან და არავითარი შეთანხმება, გენუას კონფერენციის გახსნის წინ ბოლოს უნდა ითქვას ის, რაც არის.

**სარეპარაციო ანაზღაურება**

**მოსკოვი, 21 მარტი,** (რადიო). ჰანოვერიდან 18 მარტის რიცხვით იუწყებიან: გერმანიის მიერ გადახდილ ყველა სარეპარაციო თანხების საერთო ჯამი უდრის 248 მარკას ოქროთი; აქ ჩათვლილია მე 8 თანხაც — 31 მილ. მარკა ოქროთი, რომელიც ამას წინად გადაიხადა გერმანიამ.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

**მოულოდნელი მეგობრობა.**

**ბერლინი. 6 მარტი.** „ფოსიშე ცაიტუნგს" ირონიით მოჰყავს სიტყვები რეველში ჩამოსულ პეტროგრადში მყოფ საფრანგეთის კონსულის, მარლ დიუჟესნესი, რომელმაც რეველის გაზეთის თანამშრომელთან საუბარში სთქვა: „ჯერ კიდევ 1920 წლის გაზაფხულში კოპენჰაგენში მე ოფიციალურად განვუცხადე ლიტვინოვს, რომ საფრანგეთს არავითარი მტრული განზრახვები არა აქვს საბჭოთა რუსეთის მიმართ. საფრანგეთი, საზოგადოდ არ ეპყრობა მტრულად არც ერთ მთავრობას, თუ კი ასეთი შეეფერება ხალხის ნებას. რუსეთის ხალხის სიბრძნემ თვით ჰპოვა თავისი უფლება და საფრანგეთი ცალმება რუსეთს, რომელიც შევიდა ევროპის დემოკრატიული რესპუბლიკების ოჯახში". „ფოსიშე ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ დიუჟესნე საფრანგეთის წარმომადგენლის კანდიდატია ესტონეთში, და მას მინდობილი ექნება მოლაპარაკება აწარმოოს საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობის კონკრეტიზაციაზე ლიტვინოვთან, კრასინოვთან და ნულანსთან.

**მატყლის მსოფლიო მარაგი.**

**ლონდონი. 1 მარტი.** ბრიტანეთ-ავსტრალიის მატყლით ვაჭრობის საზოგადოების დირექტორმა „ტაიმს"-ის კორესპონდენტის შეკითხვაზე, აკმაყოფილებს თუ არა მატყლის მსოფლიო წარმოება მსოფლიო მოთხოვნილებას, სთქვა: „1921 წელს მატყლის მარაგი ვერ აკმაყოფილებდა სავსებით მსოფლიო მოთხოვნილებას. ბაზარმა არა თუ ჩაყლაპა 1920—1921 წ. წ. მარაგი, არამედ ამ მხრივ შექმნა შიმშილი. ამასთანავე თავს იჩენს შემდეგი გარემოება: ვხედავთ უმთავრესად მოთხოვნილების მატყლის უმაღლეს ხარისხზე, საშუალოს და დაბალ ხარისხს კი არა აქვს მოთხოვნილება, და ამის გამო განსაკუთრებით არგენტინის მეცხვარეები იძულებული გახდენ შეემცირებიათ და კიდევაც შეეწყვიტათ თავიანთი შემდეგი წარმოება. ამას აუცილებლად უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება და გავატაროთ უსასტიკესი ეკონომია უმაღლეს ხარისხის, მატყლზე. ეს წააქეზებს საშუალო და დაბალი ხარისხის მატყლის წარმოებას, და შეამსუბუქებს მდგომარეობას არა მარტო ავსტრალიის, არამედ ახალი ზელანდიის მეცხვარეებისას, და გადაარჩენს მსოფლიო ბაზარს ამ წარმოების უცილებელ კრიზისისაგან.

**რუს კომუნისტების მოქმედება.**

**პარიზი. 22 მარტი,** (რადიო). „მატენ"-ი იუწყება: ბერლინში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგატი ბუხარინი, ვითომც ნაუენში საქმეზე. ნამდვილად კი ბუხარინის ბერლინში ჩამოსვლის მიზანია რეორგანიზაცია მოახდინოს გერმანიის კომუნისტურ პარტიაში მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებზე.

**ნავთსადგურთა მუშების გაფიცვა.**

**რომი. 22 მარტი,** (რადიო). იტალიის ნავთსადგურების მუშების გაფიცვა წყნარად მიმდინარეობს, არ მომხდარა არავითარი ინციდენტი. მიღებულია სასწრაფო ზომები მუშაობის განახლებისათვის.

**ახლო აღმოსავლეთის თათბირისთვის.**

**ნაუენი. 22 მარტი,** (რადიო). ფრანგული გაზეთები დიდი იმედებით ელოდებიან ახლო აღმოსავლეთის თათბირს, რომელიც ალბად დაადგენს სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობას.

**ანგორა და მესოპოტამია.**

**პარიზი. 22 მარტი,** (რადიო). ლონდონიდან იუწყებიან: ქემალ ფაშა თავს უყრის მესოპოტამიის ფრონტზე მნიშვნელოვან სამხედრო ძალებს.

**წითელი ხაზს გარეთ**

**საერთაშორისო უფლება კემბრიჯში**

**პარიზი, 4 მარტი.** „მატენ"-ი იუწყება რომ უნივერსიტეტის კრებამ კემბრიჯში ვერსალის ხელშეკრულების საკითხზე 149 ხმის უმეტესობით 80 ის წინააღმდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია ვერსალის ხელშეკრულების უკანონობისა და საფრანგეთის გაკიცხვის შესახებ მისი საერთაშორისო პოლიტიკისთვის. ამის გამო „მატენი" სწერს: „ჩვენ არა ვართ ვერსალის ხელშეკრულების ფანატიკოსები, ჩვენ გვჯერა, რომ ის ცუდად შეუქმნებულია, ავღნიშნავთ, რომ ზოგიერთი პუნქტები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს საუბედუროთ ეს ხელშეკრულება შედგენილია საიდუმლოდ და მასში დაშვებულია არა სასიამოვნო გამოტოვებანი. არავის, ვინც კი პატივს სცემს საერთაშორისო უფლებას, თავში არ მოუვა უარყოს ფრანგების ხელის მოწერის სინამდვილე. მთავრობამ ხელი მოაწერა პარლამენტმა კენჭი უყარა, — მაშასადამე ხალხმა მიიღო თავისთავზე ვალდებულებანი. ჩვენამდე ჩვენი მამები და ბავშვები იტანჯებოდენ ვენის და ფრანკფურტის ხელშეკრულობით მაგრამ მიუხედავად იმისა დიდი იყო მათი დამცირება და გაბრაზება ისინი მაინც იცავდენ თავისთავზე აღებულ ვალდებულებებს. მხოლოდ გერმანიამ გაბედა დალაპარაკება 1914 წელში საერთაშორისო ხელშეკრულების კანონიერებაზე, რომ ისინი წარმოადგენენ „ქაღალდის ნახევს" ეხლა კი პასუხი კემბრიჯში უნივერსიტეტიც იმეორებს იმავეს. აი პასუხი კემბრიჯში დასმულ კითხვაზე ჩვენს და ჩვენს მოკავშირეებს შორის ურთიერთობის მიმართ გულგრილად მოპყრობის მიზეზის შესახებ. ფრანგებს სწამთ ხელმოწერის ძალა და ხელმოწერილ ხელშეკრულების ასრულების აუცილებლობა რაზედაც ისინი აყრდნობენ საერთაშორისო უფლებას. ინგლისელები კი მზათ არიან იცნონ უკანონოდ ის ხელშეკრულებანი, რომლებსაც თუმცა მათ მოაწერეს ხელი, მაგრამ ავიწროებენ მათ და მათ ინტერესებს. დასკვნაში „მატენი" დასძენს: „თუ კემბრიჯის საზოგადოება გამოხატავს ინგლისის კულტურულ წრეების ნამდვილ აზრს, მაშინ ჩვენ მზათ ვართ ვაღიაროთ, რომ ინგლისის და საფრანგეთის კულტურას შორის გათხრილია უღრმესი ორმო ვიდრე თვით ზღვა. ლოიდ ჯორჯის პოლიტიკის ყველა უკანასკნელი ცვლილებანი ლაღადებენ ერთ რამეს: არ არის სიმართლე ინგლისის უცვლელ ინტერესებში. დღეს ეს სიმართლე აქაა, ხვალ იქ. მაგრამ ასეთი ეგოიზმის დროს სად უნდა ვეძიოთ გარანტია სხვა ხალხებისათვის. ასეთ კითხვაზე შეიძლება გავცეთ მხოლოდ ერთი პასუხი: არსად ნუთუ კემბრიჯში მართლა ასწავლიან საერთაშორისო უფლების ასეთ საფუძვლებს.

**ეგვიპტეს დამოუკიდებლობის გამო**

**პარიზი, 8 მარტი.** „პტი ჟურნალი" ეგვიპტეს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავს, რომ ინგლისს უარი ეგვიპტეს პროტექტორატზე, დიდი მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია. საზოგადო მშვიდობიანობის გულისათვის სასურველი იქნებოდა, რომ ეგვიპტეს მიეღო ინგლისის წინადადება და რომ ამრიგად შეწყვეტილიყო ანარხია, რომელიც მეფობს არა მარტო ეგვიპტეში, არამედ მთელ სამუსულმანო ქვეყანაში. თუმცა საამისოდ ცოტა იმედებია, იმის გამო რომ პროტექტორატზე უარი ინგლისის და ეგვიპტის შეთანხმების შედეგები როდია, ის გამომდინარეობს ინგლისის მთავრობიდან, და გადაიქცევა ძალად მხოლოდ მას შემდეგ რაც ეგვიპტე მიიღებს ინგლისის მიერ ნაკარნახევ პირობების მთელ რიგს.

**გერმანია და გენუა.**

**ბერლინი, 19 მარტი.** ბერნბურგი „ბერლინერ ტაგებლატში" იძლევა კითხვას: როგორ როლს ითამაშებს გერმანია ევროპის მშვიდობიანობის აღდგენაში? ეს საკითხი სავსებით შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ გენუას კონფერენციის შემდეგ, მაგრამ ეხლაც შეიძლება ითქვას, რომ გერმანიისთვის იქმნება სახიფათო მდგომარეობა, განსაკუთრებით თუ დაუკავირდებით იმ როლს, რომელსაც აწყობენ გერმანიას მსოფლიო მდგომარეობაში ახალ წესების დამყარების დროს, განსაკუთრებით რუსეთის აღდგენაში. წაიკითხეთ, სწერს ბერნბურგი, მოხსენებითი ბარათი, ბრიტანეთის მრეწველებისა, რომლებიც მოითხოვენ, რომ გერმანიის შრომამ და კაპიტალმა უნდა შექმნან რუსეთში ანტანტისათვის ღირებულებანი, რომელიც მათ მოუტანს შემოსავალს. ცხადია, საფრანგეთი ცდილობს მიაღებინოს რუსეთს ვერსალის ხელშეკრულება და დააკისროს გერმანიას რუსეთის სამხედრო ვალები, იმ დროს, როდესაც ინგლისი ცდილობს გამოიყენოს გერმანია, რომ შექმნას რუსეთისაგან დასაყრდნობი აღმოსავლეთზე თავის გავლენის გასავრცელებლად

გაზეთი „ცეიტი" ეხება რა ამავე საკითხს. სწერს: ლოიდ ჯორჯმა განსაკუთრებული მოხერხებით გამოიყენა გერმანიის ყველა განცხადებანი ევროპის აღდგენის შესახებ. შესაძლებელია, რომ რუსეთის ეკონომიურად აღდგენის საქმეში ინგლისის ხელმძღვანელობის პრეტენზიები მოსპობილ იქნებიან ბოლშევიკების წინააღმდეგობით. მთელი ქვეყნის პროლეტართა მასები, რომლებიც დიდი სიმპატიით ადევნებენ თვალყურს პროლეტარების დიქტატურის ბედიღბალს რუსეთში, ხედავენ ინგლისის პრემიერში იმ კაცს, რომელმაც რუსეთის შესახებ პირველად სთქვა თავისუფლების სიტყვა. გერმანიას მეტი შესაძლებლობა ქონდა ჩაედინა იგივე, მაგრამ ასეთი შესაძლებლობით გერმანია ვერ სარგებლობდა. ჩვენ ვიქნებით იმის მოწმენი, თუ რუსეთის სახელმწიფოებრივი ხომალდი რიყესაგან მოხსნილი, როგორ იცურავებს ინგლისის ქარის წამობერვით.

**გერმანიის ჩივილი.**

**ბერლინი, 10 მარტი.** გერმანიის მემარჯვენე პრესა ეხება რა რუსეთის და ევროპის დამოკიდებულებას, სწერს: გერმანიას არ აქვს არც იარაღი, არც თავდაცვის, ან სხვაზე თავდასხმის სხვა საშუალებანი. რეინზე დგანან მოკავშირეთა ჯარები საუცხოვოდ შეიარაღებული, რომლებსაც ყავთ წინ სრულიად უიარაღო გერმანია. პირიქით, ტროცკის ლაშქარი, დემობილიზაციის შემდეგ უკვე აღწევს 1,600,000 კაცამდე. საერთაშორისო დიპლომატიურ ზრდილობიანობის ფორმების დაცვით, დაჟინებით იწვევენ ლენინს, როგორც სწორუფლებიანს სრულიად რუსეთის ეკონომიურ კონფერენციაზე და დაჟინებით თხოვენ მას არ უარყოს ეს მიწვევა. ეს ყინული თუსეთის მიმართ ჩაამტვრია არა გერმანიამ, რომლის მახლობელი ინტერესები დაჟინებით მიმართავენ მას ამისაკენ, არამედ ინგლისმა, რომელსაც ისევ შეყავს რუსეთი ევროპის სახელმწიფოთა წრეში.

**ანტანტის ჭეშმარიტი განზრახვები.**

**მოსკოვი. 21 მარტი.** „დეილი ტელეგრაფს" მოყავს საბუთები, რომლებიც ახასიათებენ საფრანგეთის ექსპერტების კომისიების ნამდვილ აზრს. ლონდონის გაზეთი აღნიშნავს, რომ ფრანგებს სრულიადაც არ აინტერესებთ რუსეთის ეკონომიურად აღდგენა, არამედ სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ ოლქებში შესვლა, როგორიც არის მაგალითად დონის ბასეინი, სადაც საფრანგეთის კაპიტალისტებს მსხვილი ინტერესები აქვთ. აქ საქმე არის არა მხოლოდ მარტო ეკონომიურ ინტერესებში, ნაკლებ როლს არ თამაშობს აქ აგრეთვე სტრატეგიული მოსაზრებანიც.

**გერმანიის ზარალი.**

**ბერლინი, 22 მარტი** რადიო. ელჩების კონფერენციამ უარი სთქვა გერმანიის პრეტენზიების ცნობაზე იმ ზარალის ანაზღაურების დასაფარავად, რომელიც მას მიაყენა პოლონეთის აჯანყებამ ზემო სილეზიის საპლებისციტო რაიონებში. ელჩების კონფერენციის აზრით ამ ზარალის დაფარვა შეიძლება ადგილობრივი შემოსავლით, იმ შემთხვევაში თუ ეს შემოსავალი არ დარჩა საკმარისი, ყველა სათანადო პრეტენზიები შეტანილ უნდა იქნას რეიხსტაგის სათანადო კონფერენციაში, რომელმაც უნდა გამონახოს აუცილებელი საშუალება კერძო პირების ზარალის დასაფარავად.

**კომუნისტების დევნა გერმანიაში.**

**ნაუენი, 22 მარტი** რადიო. ბერლინის პოლიციამ აღმოაჩინა ფარული კომუნისტური რადიო სადგური. სადგურის გამგეა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მექანიკი არენც-ბოვალი. ბერლინის კომუნისტური პარტიის კომიტეტის მდივანი — გრიმეჩი, რომელიც მუშაობდა არენცთან ერთად დაატუსაღეს, როგორც ბრალდებული სახელმწიფო ღალატში. არენცის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ფარულ ორგანიზაციის წევრთა სია, რომელიც უმთავრესად შესდგებოდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისაგან. აღმოაჩინეს აგრეთვე ბევრი ისეთი მასალა, რომელიც ეხებოდა ადგილობრივ და საერთაშორისო რადიო სადგურების მოწყობას. ამის გამო მოახდინეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური ბიუროს და აღმასრულებელ საბჭოს ჩხრეკა.

**ირლანდიაში**

**ბორდო, 22 მარტი.** (რადიო). „ვესტმინსტერ გაზეთის" ცნობით მდგომარეობა ირლანდიაში ფრიად სერიოზულია. დღითი-დღე მოსალოდნელია ქვეყნის გადასვლა სამოქალაქო ომის მდგომარეობაში. „ივენინგ ნიუზ"-ის ცნობით ულსტერსა და სამხრეთ ირლანდიას შორის მდებარე საზღვარი მოგვაგონებს ბრძოლის ველს. ყოველგან ხდება ჯარის გადაჯგუფება. ირლანდიის რესპუბლიკანური ჯარის ორი რაზმი გადავიდა ულსტერის ტერიტორიაზე, სადაც დაიკავეს ბანაკები და იარაღი.

**ფაშისტების დატყვევება**

**ბერლინი. 22 მარტი.** (რადიო). იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით დატყვევებულია 300 ფაშისტი, რომელთაც ბრალი ედებათ საზოგადოებრივი წესრიგის და შინაურ მშვიდობიანობის დარღვევაში.

**ინდოეთში**

**ლონდონი. 22 მარტი.** (რადიო). „დეილი ექსპრესსი" კიცხავს ინგლისის მთავრობას განდის დატუსაღების გამო. განდის შემდეგ ინდოეთის ნაციონალურ რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელობა გადავიდა ისეთი ელემენტების ხელში, რომელნიც მოკლებული არიან მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობას და ქადაგებენ მხოლოდ აჯანყებებს და ყაჩაღურ თავდასხმას.

**განდის დასჯა.**

**ნაუენი. 21 მარტი,** რადიო. ინდოეთის ნაციონალისტების ბელადს განდს გადაუწყვიტეს 6 წლით ციხეში დატუსაღება.

**მონტეგოს მოადგილე.**

**ბერლინი. 21 მარტი.** რადიო. ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარად დანიშნულია ჟოუ. ვიცე-სეკრეტარი სამხედრო სამინისტროსი ვიკონტ პილი.

**მუშებიც ემზადებიან გენუისათვის.**

**ლონდონი. 21 მარტი.** რადიო. გენუის და ნეაპოლის ნავთსადგურებში გამოცხადებულია გაფიცვა. იტალიის ყველა მნიშვნელოვან ნავთსადგურებს ემუქრება ნავთსადგურთა საერთო გაფიცვა.

**ბერლინი. 21 მარტი.** რადიო. ამერიკის და კანადის მთავრობებმა აღუკრძალეს სემიონოვს, რომელიც იდგა შორეულ აღმოსავლეთის ანტი ბოლშევიკურ ჯარის სათავეში, ამერიკაში ყოფნა.

**გადატრიალება ბულგარეთში.**

**პარიზი. 21 მარტი.** რადიო „ნიუიორკ-ჰერალდი" იუწყება: სამხედრო პარტიამ ბოლგარეთში ჩამოაგდო სტამბულინსკის მთავრობა. გამოაცხადეს სამხედრო დიქტატურა.

# აღმოსავლეთში

**ხოი, 20 მარტი.** რადიო. მეჯლისის პრეზიდიუმის არჩევნების დროს, თავმჯდომარედ აირჩიეს ეტედ დოვლე, პრინც ფერმანის შვილი. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სპარსეთის პრესაში. საქმე იმაშია, რომ ფერმანი არის სპარსეთის ნახევარი მიწების მფლობელი და მთელი პროვინციების მოსახლეობა იმყოფება პრინცის ხელქვეით. ფერმანი დიდი ანგლოფილია, იგი არის ანგლოფილურ პოლიტიკის შემქნელი. სპარსეთის წარჩინებულთა უმრავლესობა მორჩილი იარაღია სპარსეთის ამ ბოროტ სულის ხელში, რომელიც ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდა სპარსეთის ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ყველა გამოსვლებში უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში. მისმა მეორე ვაჟმა — იჟავე მეჯლისის წევრმა ტორული პრინცმა მიიღო გენერალ გუბერნატორის თანამდებობა, დავაცადოთ კიდევ ცოტა და მთელი სპარსეთი გადაიქცევა ფერმანის მორჩილ ოჯახად", სწერს გაზეთი „ძველი ირანი".

ნაწილობრივ ყუმბარებით, ნაწილობრივ კი მშრომელთა უსაზღვრო ცარცვით აიხსნება ხალხის ძლიერი გაღარიბება, რომელიც ეჩნევა სპარსეთში ყველგან, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მრავალი ყაჩაღთა ბრბოები, განსაკუთრებით პროვინციებში, რომლებსაც ეერთდებათ დეზერტირები ლაშქრიდან.

ამავე მიზნით სცარცვავენ ხანდისხან ცალკე ჯარის ნაწილებს. სცარცვავენ განსაკუთრებით გლეხებს,ართმევენ მათ ყველაფერს, რასაც კი

უტოვებენ მათ სატრაპები და მოხელეები, რომლებიც სცარცვავენ მათ როგორც მებატონეები, ბრბოების თავხედობა იქამდისაც კი მიდის, რომ სცარცვავენ ხალხს აგრედვე მსხვილ ცენტრების მახლობლადაც. ასტრაბადსა და გიუმიუშტეპეს შორის რამოდენიმე თვე მიმოსვლა შეწყვეტილი იყო ყაჩაღების შიშის გამო. პროვინციაში მთავრობის ხელისუფლების პრესტიჟი საგრძნობლად დაეცა. ანარქია ედება მთელ სპარსეთს, განსაკუთრებით იმ ადგილებს, რომლებიც ესაზღვრება ნახევრად დამოუკიდებელ ქურთებით დასახლებულ რაიონებს. ქურთისტანში, სადაც მათი ტერიტორია ეხება ინგლისელების გავლენის ზონას, ინგლისელებმა განიცადეს მორიგი დამარცხება ქურთების ერთ-ერთ გვარეულობასთან შეტაკების დროს. ინგლისელები სდევნიდენ ქურთების ერთ სამხედრო უფროსთაგანს, აზმედ-ბეგს. აზმედ-ბეგმა იპოვა თავშესაფარი ურამანის გვარეულობის ბელადის სახლში. მის გაცემაზე ურამანელებმა უპასუხეს უარით. ამის შემდეგ ინგლისელების ცხენოსან ნაწილებსა და ურამანელების შორის მოხდა შეტაკება, რომელიც დამთავრდა ინგლისელების დამარცხებით: შემდეგ ისინი დაბრუნდენ საგრძნობი დახმარებით. დაიწყო მკაცრი პარტიზანული ომი, რომლის შედეგები ჯერ გამოურკვეველია.

## შიმშილობა რუსეთში

**ეკლესია და დამშეულები.**

**მოსკოვი, 19 მარტი.** რადიო. 16 მარტს, კოლომინაში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი საეკლესიო განძეულის ჩამორთმევის შესახებ. მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ, კოლომინას მაზრის მოქალაქენი, უმეტეს ნაწილად კოლომინის ქარხნის მუშები, მოვისმინეთ რა მოხსენება მილიონ დამშეულების ტანჯვაზე და იმ შემწეობის სიმცირეზე, რომელსაც ძალა გამოლეული სახელმწიფო ალევს თავის უკანასკნელ ძალას, მოვითხოვთ, რომ ყველა სარწმუნოების ტაძრების აუარებელი სიმდიდრე, რომელიც სამკვდროდ აქვთ ამ ტაძრებს, უნდა გადაცემულ იქნას დამშეულთათვის საპურე პურზე. სამარცხვინო ბოძზე გაკრულ იქნენ ყველა, ვინც ეწინააღმდეგება ამ ქეშმარიტად ქრისტიანულ ღლტყინებას და წინადადება მიეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას დაუყონებლივ შეუდგეს ამ საქმეს. ყველა მბრწყინავ ძვირფას განძს არავითარი არ მოაქვს არსებითი სარგებლობა. ყველაფერი უნდა მოხმარებულ იქნას პურის საყიდლად მილიონ ადამიანების შიმშილით სიკვდილისაგან გადასარჩენად.

**კალუგა, 15 მარტი.** (რადიო). საეკლესიო განძეულის ჩამომრთმევი კომისიები მაზრების უმეტეს ნაწილში ათავებენ თავიანთ საშუშაოს. კალუგის მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანმა კრებამ გამოიტანა დადგენილება საეკლესიო განძეულის ჩამორთმევის საჭიროების შესახებ.

**მოსკოვი, 19 მარტი.** (რადიო). როგორც ომსკიდან იუწყებიან, 12 მარტს წითელ ლაშქრელთა უპარტიო კონფერენციამ წინადადება მისცა საგუბერნიო აღმასკომს ჩამორთმეან ეკლესიებს განძეულებანი დამშეულთა გადასარჩენად.

**დირექტივების უქონლობა.**

**მოსკოვი, 19 მარტი.** (რადიო). პეტროზავოდსკიდან 15 მარტის თარიღით იტყობინებიან, რომ ოლონეცკის ეპისკოპოსმა დამშეულთა დამხმარე კომისიის სხდომაზე უარი თქვა სამღვდელოებისა და მორწმუნეთადმი დამშეულთა დასახმარებლად მოწოდების გამოშვების შესახებ. თავის უარს ასაბუთებდა პატრიარქ ტიხონისაგან სათანადო დირექტივების უქონლობით. მან გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მას აწუხებენ მისთვის უცხო საკითხებით.

## ქ რ ო ნ ი კ ა

◆ **განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირში.** კვირას 26 მარტს, დილის 11 საათზე კავშირის ბინაზე შესდგება საორგანიზაციო კრება სამეცნიერო დარგის მუშაკთა—სამეცნიერო მუშაკთა სექციის დასაარსებლად. თუ კრებას არ დაესწრო საკმაო რიცხვი 12 საათზე, ის გაიხსნება ხელმეორედ და ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. გან. ორგანიზაციის განყოფილება.

◆ **ვადა გასული სასწორ საზომის შესახებ.** თანახმად ს. მ. უ. ს. დადგენილებისა, ჯარიმა გადახდება (1—3 მილიონამდე)—არა მარტო—უსწორო და არა კანონიერი სასწორების და საზომების ხმარებაზე, არამედ ვისაც გამოაჩნდება აღნიშნული საგნები ვადა გასული დაღით. ვადა გასული დაღით ამ 1922 წლის განმავლობაში ითვლება ყველა საზომ—საწონები, რომლებზედაც არ არის დასმული 1921 ან 1922 წ. წ. დაღი.

◆ **საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას, ა. წ. 26 მარტს, დილის 11 საათზე, თანახმად გამგეობის გამოცხადებულ მოწვეულ მოიგროვის მოწოდებისა, სამეურნეო საზოგადოებაში განხილული იქნება პროექტი მიწის დეკრეტისა, რაზედაც საზოგადოება თავის მოსაზრებებს წარუდგენს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს. დასწრება ყველასათვის თავისუფალია. (კრება შესდგება საზოგადოების ბინაზე, ზარიატინის ქუჩა № 5.)

## საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.**

ამ დღეებში განაახლა თავისი მოქმედება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, ეს საზოგადოება ეხლა აერთებს, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მეტყეობა, ვეტერინარია და ყველა სხვა მონათესავე დარგებში მომუშავეთ. მიზანი ამ საზოგადოებისა არის თავის წევრთა შეერთებული ძალით ხელი შეუწყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის საფუძვლიანად შესწავლას და მის განვითარება-გაუმჯობესებას. ამ საზოგადოებას სახელოვანი წარსული აქვს, მაგრამ უკანასკნელ წლებში განცდილმა ცხოვრების სიმწარემ ის ძალიან დაასუსტა, და მისი მოქმედება დროებით შეაჩერა. ამ მოვლენას ბევრი სხვა მიზეზებიც აქვს, მაგრამ მათი გამოკვლევას ჩვენ აქ არ შეუდგებით. დღეს კი, როდესაც ერის ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს ყველა ცოცხალი ელემენტის დარაზმვას და მის შემოქმედებით მუშაობაში ენერგიული მონაწილეობის მიღებას, შეუძლებელი იყო ასეთი საზოგადოება ისევ არ გამოსულიყო სამოქმედო ასპარეზზე. და სწორეთ, ამა წლის 5 მარტს შესდგა საზოგადოების კრება, სადაც მოხდა მისი გადახალისება-განახლება. საზოგადოება პირველ ხანებში აპირობს უმთავრესად აკადემიური ხასიათის მუშაობის წარმოებას, ცდილობს რა ამასთანავე ერთად თანდათან შეუდგეს ყველა იმ მოვალეობათა ასრულებას, რაც სხვა კულტურულ ქვეყნებში ასეთ საზოგადოებებს აქვთ მიღებული. რომ საზოგადოების მუშაობას მიეცეს უფრო ფართო ხასიათი, საზოგადოება ცდილობს ხელი შეუწყოს, თავის დამხმარეთ, ასეთივე მცირე რაიონის საზოგადოებათა მოწყობას პროვინციაში. ჩვენი ერის ცოცხალი ინტერესი სოფლის მეურნეობასთან, რომელსაც უმთავრესად დამოკიდებული მისი ეკონომიური კეთილდღეობა, თავდებია იმისა, რომ ამ საზოგადოებას მიექცევა სერიოზული ყურადღება და მის არსებობას ჩაეყრება იმდენათ მტკიცე საფუძველი, რომ მან შესძლოს თავის მოწოდების ღირსეულად შესრულება. საზოგადოების გამგეობის ახალი შემადგენლობა (პროფესორი მელიქიშვილი, პროფ. ქურდიანი და სხვა) იმედს გვაძლევს, რომ საზოგადოებაში იწარმოებს სერიოზული აკადემიური ხასიათის მუშაობა. ვუსურვოთ, რომ ამ გვარ მუშაობასთან ერთად საზოგადოება მალე შესძლებოდეს ფართოთ გაშლას მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ მეურნეობის საკეთილდღეოთ.

## პარტიული ცხოვრება

**მეორე რაიონის კომუჯრედების მიმაგრებულ ამხანაგების სია.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი აცხადებს იმ ამხანაგთა საყურადღებოდ, რომლებიც გადაყვანილი იქნენ მე-2 რაიონში მე-4 რაიონის იაჩეიკების გაუქმების შემდეგ, რომ ისინი მიწერილი არიან მე-2 რაიონზე შემდეგი რიგით:

საყვარელიძე ერდი—ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაზე. მურმანი სოლომონი—მილიციის გაერთიანებულ იაჩეიკაზე. ყორღანოვი მარგარიტა—„კომეტას“ თამბაქოს ფაბრიკაზე. ცინცაძე არუსიაკი—კოლოფების ფაბრიკაზე. პეტრიაშვილი ლიუსია—სეილანოვის თამბაქოს ფაბ. ორახელაშვილი მარიამი საბჭ. პირველი კოლოფების ფაბრიკა. კარაბინოვი სოფიო—ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრ. ვაშაძე გალაქტიონი—ფეხსაცმელების სამხედრო სახელოსნოს იაჩეიკაზე. შნეიდერი არკადი—კომეტას თამბაქოს ფაბ. მირიაევი ეკატერინე—ლენინის სახელობის საბავშო სახლ. ჩოდრიშვილი მიხეილი—ლითონის განყოფილება, გოგინავა ვარადებული—კომეტას თამბაქოს ფაბ. პანიანი გერასიმე—მე-2 ელექტროსად. სარალიძე ალექსანდრე—ტრამვაის იაჩ. გალდავა შუშანიკ—კომეტას თამბაქოს ფაბრ. ჯაფარიძე—ლენინის სახელობის საბავშო სახლ. გვახარია და ოკუჯავა ნინა—სეილანოვის თამბაქოს ფაბრ. ეგიკოვი მარიამი—კოლოფების ფაბრ. წერეთელი კონსტანტინე—არსენალის იაჩ. კულუმბიაკინი ელისაბედი—ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრ. კანდელაკი ვასილ ტრამვაის იაჩ. ერქომაიშვილი ა. სასურსათო კომისარიატის ცენტრ. საწყობზე. ტრაპაიძე ზებედე—მილიც. გაერთიანებულ იაჩ. კობალაძე ალექსანდრე—სამხედრო ხე-ტყის სახერხი ქარხ. მუჩაიძე გრიგოლი—მიხეილის საავად. ფრანგულიანი ივანე—მიხეილის საავადმყოფ. ტოლაძე სტეფანე—არსენალის იაჩ. დანდუროვი — სტეფანე ტრამვაის იაჩ. ტარაკანოვი ივანე—მიხეილის საავადმ. ამირაგოვი ნიკოლოზ—მუშკოპის იაჩ. ნუტაკი—კომეტას თამბაქოს ფაბრ.

ყველა მიწერილმა ამხანაგებმა უნდა მოილაპარაკონ იაჩეიკების მდივნებთან სხდომების დღესა და საათის შესახებ.

პასუხ. მდივანი. (ხელს აწერს).

—

**დაბა აბაშა**

18 მარტს დაბა აბაშაში შესდგა კ. პარტიის და ა. კ. კავშირის წევრთა საზეიმო კრება პარიზის კომუნის მე 51 წლის თავის აღსანიშნავად.

საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ცხაკაია და მახარაძე.

კრება გაიხსნა ინტერნაციონალის სიმღერით... მოხსენება პარიზის კომუნის შესახებ გააკეთეს ამხ. ვახ. კაჭარავამ, პ. ნადარეიშვილმა, მამ. კაჭარავამ, გ. ფრანგიშვილმა და კ. ნოდიამ.

მომხსენებლებმა დაწვრილებით დაახასიათეს პარიზის კომუნის მნიშვნელობა, კომუნარების გმირობა, შეცდომები და აღნიშნეს, რომ საბჭოთა რუსეთს და კომინტერნს წილად ერგო პარიზის კომუნის მემკვიდრეობა და კიდევაც ისინი გამარჯვებით დააგვირგვინებენ დაწყებულ დიად საქმეს.

ამხანაგებმა კომუნისტური ფიცი დასდვეს, რომ როგორც ერთი კაცი, ისე იბრძოლებენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე პროლეტარიატის მონაპოვრის დასაცავად და მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის გასამარჯვებლად.

კრების დახურვის შემდეგ ყველანი რევოლიუციონური სიმღერებით დაიშალნენ.

**ყან-ფანი.**

## პროვინციაში

**ქალ. ფოთი.**

**(ნაბადის უბანი)**

8 მარტს 1922 წელს 5 საათზე ნაბადის პირველ დაწყებითი სკოლაში იქნა მოწვეული საზოგადო კრება მუშების და გლეხთა წრისაგან. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. იასონ ფირცხალავა. კრებას დაესწრო მრავალი მუშა. დღის წესრიგი: მოხსენება მუშათა კოოპერაციის შესახებ და ახალი ეკონომიური პოლიტიკა. კოოპერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ესაკიამ, აქვე კავშირთა ბიუროს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ნ. ღლონტმა. ეკონომიურ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სრულიად საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამხ. თურქია. კრებამ ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დააჯილდოვა მომხსენებელი და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ, წითელ ნაბადის მცხოვრებნი, მუშა და გლეხობა მხურვალე მადლობას ვუცხადებთ მომხსენებელს ამხ. თურქიას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საერთაშორისო მაშტაბით, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულად შეკავშირებას, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ამიერ-საქართველოს შორის სახალხო კომისარს ამხ. ლადო დუმბაძეს, ჩვენ კი ნაბადის უბნის მუშები და გლეხობა ფიცსა ვდებთ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ინტერესებს საბჭოთა ხელის უფლებისას და ძირს არ დავხრით იმ ჩვენ მიერ სისხლით მოპოვებულ და შელებილ დროშას, რომელსაც დღეს სიამაყით ვატარებთ.

თავმჯდომარე **იასონ ფირცხალავა.**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება**

**მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლების სიის გადასინჯვისა და სახლების იჯარით გადაცემის შესახებ.**

1. დაევალოს კომუნალურ განყოფილებათ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მუნიციპალიზაცია მოხდენილი სახლების გამგებლობის სამეურნეო მხარეს, რათა ეს სახლები წესიერად იქნეს მოვლილი და შენახული.

2. დაევალოს კომუნალურ განყოფილებათ ორი თვის განმავლობაში გადასინჯონ მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლების სია, წარმოუდგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად სია იმ სახლებისა, რომელიც მათი სიმცირისა, ან კომუნალური მეურნეობისა და საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის გამოუსადეგრობის გამო შეიძლება დაუბრუნდეს პატრონს, ან იჯარით გადაეცეს კოლექტივებსა და კერძო პირებს; გამოარკვიონ სახელდობრ ნუციპალიზაცია ქმნილ სახლებ შორის, რომელი სახლის დატოვება არის მიზანშეწონილი კომუნალურ განყოფილების გამგებლობაში, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომუნალური მეურნეობისა და სახელმწიფოებრივი საჭიროებანი (საავადმყოფოები, სკოლები, დაწესებულებანი, კომუნის სახლები და სხვა) და ნამდვილი შესაძლებლობა კომუნალურ განყოფილებათათვის ამ სახლებზე სამეურნეო მზრუნველობის განხორციელებისა.

3. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს ეძლევათ უფლება დიდი ხნის ვადით სარგებლობისათვის გადასცენ ამხანაგობების, კოლექტივებს ის მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლები, რომელსაც უშუალოდ არ სარგებლობს ადგილობრივი კომუნალური განყოფილება.

4. კომუნალური მეურნეობის მთავარმა სამმართველომ ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს ინსტრუქცია ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკელია.**

1922 წ. თებერვლის 3.

ქ. თბილისი.

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი **პ. ხ. ცინცაძე.**

**დადგენილება № 2.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**კერძო სამკურნალო დაწესებულებათა გახსნის შესახებ.**

1. ნებადართულ იქნეს კერძო სამკურნალო დაწესებულებათა (საავადმყოფო, ამბულატორია, სანატორიუმი და სხვ.) გახსნა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებათა ნებადართვით და მათივე კონტროლის ქვეშ.

2. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაევალოს გამოსცეს ინსტრუქცია კერძო სამკურნალო დაწესებულებათა გახსნის წესისა და მათი კონტროლის შესახებ.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**მ. ოკუჯავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე,**

1922 წლის მარტის 15.

ტფილისი სასახლე.

—

**დადგენილება № 3,**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. საქართველოს და აბხაზეთის სოც. საბჭოთ რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოსთან საკანდელო და სალოცო დირექციის დაარსების შესახებ.**

საქართველოსა და აბხაზეთის საზღვაო ნაპირებზე ნაოსნობის ყოველგვარ საფრთხისაგან უზრუნველყოფისათვის—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს საქართველოსა და აბხაზეთის სოც, საბჭოთა რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოსთან საკანდელო და სალოცო დირექცია.

2. დაევალოს საკანდელო და სალოცო დირექციას იზრუნოს ნაოსნობის უზრუნველყოფისათვის შავი ზღვის ნაპირებზე მდინარე ჭოროხიდან, სამხრეთით ბათომიდან, რუსეთის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახელმწიფო საზღვრებამდე და გაგრიდან ჩრდილოეთით, მათ საზღვრებში მდებარე პორტებისა და ყველა წყლებითურთ.

3. დაევალოს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს საკანდელო და სალოცო დირექციისათვის ვრცელი დებულება და განახორციელოს მისი მოქმედება.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

**კომისართა საბჭოს მდივანი. ალ. ხალარიძე.**

1922 წლის მარტის 15.

ტფილისი-სასახლე.

**სარედაქციო კოლეგია.**


## მუშათა მთლიან კოოპერატივის დროებითი გამგეობა

აცხადებს, რომ **მუშათა მთლიან კოოპერატივის რწმუნებულთა კრება გაიხსნება 25 მარტს პროფკავშირების კლუბის ბინაზე** (რუსთაველის პროსპექტი, მუშათა სასახლე). რწმუნებულთა რეგისტრაცია და მათთვის მანდატების მიცემა იწარმოებს მუშათა მთლიან კოოპერატივის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების ბინაზე (კირკის ქუჩა, 7) ხუთშაბათიდან, ამა წლის 23 მარტიდან.

## განცხადება

## ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის ნებართვის უქონლობის გამო ადმინისტრაციის მიერ დაბეჭდილი ყველა მაღაზიები, თუ მათ მეპატრონეები დღიდან დაბეჭდვისა 7 დღის განმავლობაში არ აიღებენ ვაჭრობა-მრეწველობის უფლების ნებართვას, სრულიად ჩამოერთმევა მეპატრონეებს და გადაეცემა საექსპლოატაციოთ ახალ მოიჯარადრეებს, ხოლო დაბეჭდილ მაღაზიებში აღმოჩენილი საქონელი კი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ქალაქის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.**

(3—3)

ქალაქში ზოგიერთი პირნი, ბოროტის განზრახვით, ავრცელებენ ხმებს,

ვითომდა,

**ახლად გახსნილ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ოქრო-ვერცხლის ნივთეულობათა სავაჭრო მაღაზიაში**

თავისუფლების მოედანზე, ყველა მოსულ მყიდველს ართმევდნენ მისამართს, სადაც, თითქოს, შემდეგ მიდიოდნენ „ჩეკის“ წარმომადგენელნი და შეძენილ ნივთს ართმევდნენ.

მაღაზიის ადმინისტრაცია, ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ხმებს სრულებით არავითარი საფუძველი არა აქვთ და რომ ეს მხოლოდ ზოგიერთა დაინტერესებულ, უსინიდისო სპეკულიანტების მოქმედების ნაყოფია.

**შესყიდვა და გაყიდვა ყოველგვარ ძვირფას ნივთეულობათა და ძვირფას ქვების, სრულებით თავისუფალია და ყოველივე შედეგის და შეზღუდვის გარეშე სდგას.**

ამასთანავე ცხადდება, რომ ამა **წლის 15 მარტიდგან მაღაზიასთან ერთად გაიხსნა ოქრო-ვერცხლით ნაწარმოებთა დიდი სახელოსნო,** უკანასკნელ გაუმჯობესებულ ტეხნიკის მიხედვით, სადაც მიიღება ყოველ-გვარი სასაათო, საგრავიორო და სხვ. სამუშაო.

(3—3)

## განცხადება

ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გადასახადთა ბიუროს და მისი რაიონულ აგენტების მოქმედებათა შესახებ დაარსებული

## საგანგებო-საგამომძიებლო კომისია

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გადასახადთა ბიუროს და მისი რაიონულ აგენტების მიერ მაღაზიების [illegible] ნაწილების დროს დაშვებულ უკანონო და ბოროტ-მოქმედებათა შესახებ ყოველგვარ განცხადება საჩივრებს კომისია იღებს ამა წლის 25 მარტამდე. ყველა პირები, რომლებმაც-კი იციან ასეთი ბოროტ მოქმედებანი ანუ [illegible]რალეს მათგან, ვალდებულნი არიან აღნიშნულ დრომდე მიაწოდონ საგამომძიებლო კომისიას სათანადო განცხადება.

**საგანგებო საგამომძიებლო კომისია.**

## განცხადება

**ქ. თბილისი 1-ლ უბნის სახალხო სასამართლო.**

ამით აცხადებს, რომ 1922 წ. თებერვლის 13-ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის დავით საბას ძე მაჭავარიანის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. თბილისის ნოტარ. გიორგი [illegible] არსაბის ძე მაჭავარიანის მიერ 1921 წ. 29 იანვრის დღეს, შეტანილი ნოტარ. მაჭავარიანის 1921 წ., აქტის წიგნის მესამე ნაწილში უძრავ ქონების შესახებ. გვერდი 13 და 14 № 19.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

**ქ. ტფილისის მე-2-ე რაიონის სახალხო მოსამართლე**

იწვევს სახალხო სასამართლოში ნინა არკადის ასულ კოვანკოს, დაბადებით დოლაგაროვას. როგორც მოპასუხე მის ქმართან ლევ ევგენიას ძე კოვანკოს მიერ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის მოქვეყნების არ გამოცხადდება, დანიშნული იქნება საქმე და დადგენილება გამოტანილი მის დაუსწრებლათ.

სახალხო მოსამართლე მარ. ჩხეიძე.

(1—1)